პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 118 (20809) — კვირა, 13 მაისი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

ბიბლიოთეკა

## მკითხველს ვთავაზობთ

პარტიის XXVIII ყრილობის წინ მკითხველთ ვთავაზობთ კითხვა-პასუხის მეოთხე ნაწილს, რომელიც კვლავ ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ საკითხებს ეხება.

2 გვერდი

„მართალი გითხრათ, ამ წერილის ადრესატიც კი არ ვიცი"... გულისტკივილით ამბობს თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი თენგიზ ფერაძე, თუმცა... „ყველა საქმის კურსშია, ვისაც კი ძალუძს პრაქტიკული დახმარება!"

„მე არ მიყვარს ელექტროშოკი!" — არაბული სამყაროს „წლის ადამიანის" — ჰოსნი მუბარაქის ამ ახირებულ გამოთქმაში ბევრი რამ ენიშნებათ პოლიტიკოსებს.

3 გვერდი

სავსებით მართებულია კომპო... ლხან ნასიძის გულისტკივილი: „... შეიძლება შურისძიების საგნად იქცეს ხანიათის ზოგიერთი თავისებურება ან ცალკეული შეცდომა?.."

ხალხური მედიცინა კვლავ ხალხის სამსახურში უნდა ჩადგეს!..

ქართულ ხელოვნებას აროდეს მოჰკლებია ქომაგი, თუ მოამაგე უცხოეთში, და არც ჩვენი ძირძველი სიმღერები ყოფილა გამონაკლისი. ამის დასტურია პროფესორ ალექსანდრე ღლონტის წერილიც.

ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა საბოლოო აზრი რევაზ ჩხეიძის „დონ კიხოტზე", მაგრამ მწერალ რომან მიმინოშვილს ყველაზე ბედნიერ რეჟისორულ მიგნებად მაინც ფილმის ბოლო ეპიზოდი მიაჩნია.

4 გვერდი

ჩვენი დღევანდელი ფოტოინფორმაცია მოგვითხრობს რესპუბლიკაში მომხდარი ამბების შესახებ.

...დიდი ამოცანების წინაშე დგანან მსუბუქი მრეწველობის საწარმოები, რომლებიც მოწოდებული არიან გაადიდონ პროდუქციის რაოდენობა, გააუმჯობესონ მისი ხარისხი. ამ მხრივ ჩვენი ჩამორჩენა საყოველთაოდ ცნობილია. ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარდაქმნის დაჩქარებას. სურათზე ხედავთ თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ჟაკარდული ნარმოების მეორე საამქროს მესამე ბრიგადის ნევრებს მაყვალა ქოზაევასა და ინგა წიქვაძეს, რომლებიც დავალებებს მუდამ გადაჭარბებით და ხარისხიანად ასრულებენ.



...წყალტუბოში მუშაობს ნორჩ პროგრამისტთა მესამე საერთაშორისო სკოლა, რომელიც შექმნეს იუნესკოს საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ, გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის საკავშირო კომიტეტმა და საქართველოს გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ. წელიწადში ორჯერ ნორჩ პროგრამისტთა წინაშე ლექციებით წარსდგებიან ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან პროფესორი რისმაგ გორდეზიანი, ჰამლეტ მელაძე, მურმან წულაძე და სხვები. საერთაშორისო სკოლის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს, მოსკოვის, რუმინეთის სკოლების მოსწავლეები. მათთვის შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა შემოქმედებითი მუშაობისა და დასვენებისათვის. სურათზე ხედავთ რუმინელ პედაგოგს ანდრია პოლიქრონიადეს მოსწავლეებთან ერთად.

## ერთი კვირა ფოტოსურათებში რეპორტაჟი



...გამარჯვების დღეს ტრადიციისამებრ თბილისელები და ქალაქის სტუმრები შეიკრიბნენ გამარჯვების პარკის მემორიალთან, პატივი მიაგეს სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას. მრავალი საინტერესო ღონისძიება გაიმართა. უცნობი ჯარისკაცის საფლავთან, სადაც მარადიული ცეცხლი ანთია, გვირგვინები მიიტანეს. შეხვედრის მონაწილეთა შორის იყო მელიტონ ქანთარია, რომელმაც თანაპოლკელ მიხეილ ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა დამხობილ რაიხსტაგზე. მას, საბჭოთა კავშირის გმირს, ამ დღეს გადაეცა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი. ვეტერანებმა ტრადიციისამებრ კოცონი აანთეს გარდასულ დღეთა მოსაგონებლად. ასეა, ხალხის ხსოვნიდან არასოდეს იშლება გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითები, ისინი თაობიდან თაობას გადაეცემა, მით უმეტეს იმის გამოც, რომ სამამულო ომში ასიათასობით საქართველოს შვილი დაიკარგა და მათ სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს ჩვენი ერის ისტორიაში.

ჯავარ ლომაძის („კომუნისტი"), ბონდო ვალიშვილის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტოები.



## წერილები „კომუნისტს"

### მეომარი გულოვნებდეს...

**უამრავ** პუბლიკაციას, აზრებს, წინადადებებს ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა აღდგენის შესახებ, რომლებიც ქვეყნდება პრესაში, მინდა დავუმატო ჩემი შეხედულებაც. მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ვმსახურობდი მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკაში, როგორც სამხედრო სპეციალისტი და მაქვს გარკვეული გამოცდილება.

ჩვენს ერში სამშობლოს დაცვა ყოველთვის ითვლებოდა ვაჟკაცის უმთავრეს და უწმინდეს მოვალეობად. თავისი პატრიოტული გრძნობა, პასუხისმგებლობა, თავმოყვარეობა არასდროს არ მისცემს ნებას ქართველ კაცს, რომ ჩამორჩეს უკან შეტევაზე გადასულ მეგობრებს, თანამებრძოლებს... პირიქით.

არ შეიძლება არ დაეთანხმო ბევრი ავტორის აზრს იმის შესახებ, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩვენი მიწა-წყლის დაცვის პრობლემა თითქმის მთლიანად მოიხსნა და ერმა დაკარგა პატრონის შეგნება. ჩვენდა საბედნიეროდ იმ ძველმა ტრადიციებმა შეანარჩუნებინა ქართველ კაცს ბრძოლისუნარიანობა, რისი კონკრეტული დამამტკიცებელია ერის შვილთა მონაწილეობა რუსეთის ომებში, პირველ მსოფლიო და განსაკუთრებით დიდ სამამულო ომში.

მაგრამ, სამწუხაროდ, თანდათან და განსაკუთრებით კი 60-იანი წლებიდან ჩვენი ერის სამხედრო პოტენციალმა კატასტროფული კლება დაიწყო. საკმარისია ვთქვათ, რომ დღეს ქართველთა წარმომადგენლობა კავშირის ოფიცერთა კორპუსში მინიმალურია.

ყველაფერი ეს და ბევრი სხვაც იმაზე მეტყველებს, რომ ეროვნული ჯარის შექმნის საქმეში (თუ ეს სერიოზულად გვინდა) პრაქტიკულად ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა.

უპირველესად საჭიროა შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც გამოიმუშავებს ეროვნული ჯარის შექმნის ოპერატიულ და პერსპექტიულ პროგრამას. მოწონებული უნდა იქნას რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატში წარმოშობილი აზრი ქართველ ოფიცერთა ასოციაციის შექმნის შესახებ. ეს ასოციაცია ზემოაღნიშნულ კომისიასთან ერთად შეძლებდა შეედგინა ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი სამხედრო მშენებლობის კონცეფცია, გამოთქვამდა კონკრეტულ წინადადებებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კადრების მომზადება, სასწავლო მატერიალური ბაზის შექმნა, საბრძოლო მომზადების დაგეგმვა და სხვ.

თუ კადრებიდან დავიწყებთ, ყველაზე უფრო ცუდი მდგომარეობა შეიქმნება სამხედრო საჰაერო ძალებში. ამიტომაც საჭიროა, რომ დღესვე დაიწყოს მუშაობა ახალგაზრდების სამხედრო-საჰაერო სასწავლებლებში გაგზავნისათვის. პარალელურად უნდა აღდგეს ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობის სამხედრო ძალების სპეციალური საშუალო სკოლა, სადაც სწავლა უნდა დაიწყოს ა. წ. სექტემბერ-ოქტომბერში. ამ დროისათვის იგი უნდა დაკომპლექტდეს პედაგოგ-მასწავლებელთა შემადგენლობით.

უნდა გახდეს ფართო პროფილიანი თბილისის უმაღლესი სამხედრო საარტილერიო სასწავლებელი, სადაც არტილერისტთა გარდა მომზადდებიან ტანკისტები, მესაზღვრეები და ა. შ. პერსპექტივით სასწავლებელი შეიძლება გადაიზარდოს სამხედრო აკადემიაში.

კვლავ მწყობრში უნდა ჩადგეს თბილისის საერთო სამხედრო სასწავლებელი, სადაც მომზადებას შეუდგებიან სახმელეთო ჯარების მომავალი მეთაურები, ზურგისა და სხვა სახეობათა სპეციალისტები.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს უნდა დაევალოს ჯარისათვის საჭირო ყველა რადიოტექნიკური სპეციალისტების მომზადება. ასეთივე მისია ეკუთვნის ფოთის საზღვაო სასწავლებელს ჯარისათვის მაღალპროფესიული მეზღვაურების აღზრდის საქმეში.

როგორც ცნობილია, არარაობიდან არაფერი წარმოიშობა, დადებითსაც და უარყოფითსაც თავისი კონკრეტული ფესვები აქვთ. ტრადიციებს ჩვენი ხალხი ქმნიდა თავისი შრომით, გარჯით, ხელოვნებით, რწმენით. კერძოდ, ჩვენს საბრძოლო გამოცდილებასა და ტრადიციებს გაფრთხილება სჭირდება. ჯარი ყოველთვის უნდა იყოს მზად ერის დასაცავად. ჯერჯერობით კი უპირველეს ყურადღებას იპყრობს თვით ამ ეროვნული საჯარისო ნაწილების ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა.

**ზაურ ლომიძე,**
პოლკოვნიკი.

## სიმართლის გარკვევა კი ჭიანურდება

**გაზეთ** „კომუნისტის" 10 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია სათაურით „სამშობლო" ონის თეატრის სცენაზე". ეს ფაქტი, მართლაც ღირსსახსოვარია ონელთა ცხოვრებაში, — პრემიერამ და შემდგომმა სპექტაკლებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე, მაგრამ როგორც ჩანს, გაზეთში გამოგზავნილი ინფორმაცია დახანდა და დაიბეჭდა იმ დროს, როდესაც ონის თეატრის კარი კარგახანია გამოკეტილია.

საქმე ის არის, რომ ონის კულტურის დარგის 14 მუშაკი უკვე ოთხმოც დღეზე მეტია რაც გაფიცულია. ამის მიზეზი კი კულტურის სახლის დირექტორის იზოლდა ნოდარიშვილის უსამართლო საქციელია. მან ააჭედინა კულტურის განყოფილების გამგის გოგი ბორდილაძის კაბინეტის კარი, რამაც აღელვა ონის ინტელიგენცია. დრო გადის, სიმართლის გარკვევა კი ჭიანურდება. გაფიცულები მოითხოვენ ი. ნოდარიშვილის მოქმედების განსჯას, მის განთავისუფლებას და ჭეშმარიტების გარკვევას.

**მერაბ ჯაფარიძე,**
საქართველოს ტელევიზიის რეჟისორი.

პოზიცია

## დრო — პირუთვნელი მსაჯული

**თვითგამორკვევის** პირობითი ვადა პირველ ივნისამდეა. მაქსიმალისტი ახალგაზრდობა კომკავშირის თვითლიკვიდაციას მოითხოვს, ახსოვთ უმეტესად ვინ და რისთვის მიძვრებოდა კომკავშირში იჩ-იჩ-ის ძახილითა და ქლესა ღიმილით.

ალაყაფზე საქართველოს ეროვნული დროშა ფრიალებს. გარდიგარდმო გაბმულ შავ განიერ ნაჭერზე წაწერილია: „კომკავშირი უნდა დაიშალოს!".

ვესტიბიულში მეკარის ადგილზე ახალგაზრდა ზის.

— ბარამიძე?.. ბარამიძე... მესამე სართულზე უნდა იყოს...

პირველი შთაბეჭდილება — საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ახლახან არჩეული პირველი მდივანი გიგლა ბარამიძე არ შეჩერდება! ვგონებ, არ ჰგავს იმათ, ვისაც კომკავშირი კარიერის სარბიელად უნდოდათ მხოლოდ, მით უფრო, რომ იცის, ჩაძირული გემის ზედაპირზე ამოყვანა მის გადარჩენას მაინც არ ნიშნავს. არც აპირებს.

მაშ, რა სურს, პოპულარობა? კომკავშირის ლიდერობით ახლა თუ დაკარგავს კაცი რამეს, თორემ პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებისათვის იქნებ პირუკუცაა.

მაშ...

— ჩემზე უკეთ ვინ იცოდა, რა ვითარებაა შექმნილი კომკავშირში. შემეძლო უარი მეთქვა თანამდებობაზე. მაგრამ ერთი საქმის მოღალატე, ვერც სხვას ვინმეს ან რამეს წაადგება. დაწყებულია, ჩემი ღრმა რწმენით, ძალზე დიდი, მნიშვნელოვანი საქმე და მას ბოლომდე უნდა მიყვანა — „საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის" შექმნა. მისი მთავარი მიზანია, კომკავშირის არსებული სტრუქტურების დაშლით, პარტიულობის მიუხედავად, საქართველოში მცხოვრები ყველა ერის ახალგაზრდების გაერთიანება, რათა არ გაჩნდნენ (და ისინი უეჭველად გაჩნდებიან. ვიცი, რასაც ვამბობ, თუ სრულ თვითლიკვიდაციაზე წავალთ) ინტერფრონტის ახალი კერები ცენტრისტული მიმართულებით. ეს არაპოლიტიკური, საზოგადოებრივი ორგანიზაცია იქნება, შეიცვლება ახლანდელი სტრუქტურა პრეზიდიუმით, მრჩეველთა საბჭოთი. რეგიონებში დარჩება საქალაქო და რაიონული კომიტეტები, თუმცა, ამას მათ არავინ ავალდებულებს. სრული უფლება ენიჭებათ შეხედულებისამებრ გარდაიქმნან.

კავშირი, ძალზე მოკლედ, რომ ვთქვათ, ახალგაზრდობის სოციალურ, ეკონომიკურ, საშეფო საკითხებს გადაწყვეტს, მონაწილეობას მიიღებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.

**— ანუ, იმახ, რაც თავის დროზე კომკავშირს უნდა ეკეთებინა. მაგრამ ამახ საკმაო თანხები დახჭირდება.**

— ჩვენ ამ მხრივ კომკავშირის მემკვიდრენი უნდა ვიყოთ — მისი ბაზები, ეკონომიკური სტრუქტურები, ფინანსები, საწევროები, დამერწმუნეთ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კომკავშირის არსებული უფლებები, პრივილეგიები შევინარჩუნოთ: დაქსაქსვას, ურთიერთწინააღმდეგობას მოჰყვება ის, რომ ყველაფერს ცენტრი წაიღებს. არადა, ზემოჩამოთვლილი მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ საქმეს უნდა მოხმარდეს! ახლა გარდამავალი პერიოდია და მის შესაფერისად უნდა გავისარჯოთ კიდეც.

**— როცა მხედარი უთავოა, ცხენს ორივეს მაგივრად უწევს ფიქრი. დამეთანხმებით, ჩვენში ბლომად იყვნენ უთავო მხედრები და „ცხენსაც" არ აძლევდნენ ფიქრის უფლებას — მხოლოდ აღსრულება! ამახ იმიტომ მოგახსენებთ, რომ უთაურობით, ნაჩქარეობით, მიფუჩეჩებით ბევრი დიდებული წამოწყება ჩაგვიკლავს ჩანასახშივე. მოკლედ, მოვარაყების დიდოსტატთ სულაც არ ანაღვლებდათ ქვეშ რომ ჟანგი რჩებოდა. ახლაც არ ვიცი, საბოლოოდ რა იქნება, მაგრამ თქვენი თქმით წამოწყება ძალზე დიდი, მნიშვნელოვანია და ახალგაზრდობის კონსოლიდაციის ყველაზე რეალურ გზადაც მესახება. ამახ კი სათანადო დონის ხელმძღვანელი ხჭირდება. დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ აგირჩევენ „საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის" ხელმძღვანელად?**

— არავითარი გარანტია არა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს. ეს დემოკრატიის პრინციპებს ეწინააღმდეგება და ამას ჩემთვის არც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მშვენიერი სპეციალობა მაქვს და უმუშევარი არ დავრჩები. მით უფრო, რომ, როცა დასახულს შევასრულებ, მაინც სპეციალობით ვაპირებ მუშაობის გაგრძელებას. მე მხოლოდ ის მინდა, რომ, რამდენადაც შემეძლება, ნებისმიერ დონეზე, ვაკეთო ის, რაც, ვიმეორებ, ჩემი ღრმა რწმენით, რესპუბლიკაში შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე, კრიზისული სიტუაციის დაძლევის, უარესი გართულებების თავიდან აცილების საშუალებას მოგვცემს.

**— რესპუბლიკაში კი არა, თავად აქ, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში საკმაოდ რთული სიტუაციაა. ცნობილთა გარდა, თქვენი აზრით, რა არის ამის კონკრეტული მიზეზი?**

— უპირველესად ის, რომ ოპოზიციონერების გაგებით, ჩვენ ძველი კომკავშირის შენარჩუნებას, მეტიც, გაძლიერებას ვლამობთ. მრავალჯერ შევხვდით ერთმანეთს, ვისაუბრეთ, მაგრამ ჯერჯერობით ბევრ საკითხში მაინც ვერ შევთანხმდით.

— კერძოდ...

— ჯერ იმას ვიტყვი რომ კატეგორიული მოთხოვნა — ყველამ უმალ დაყარეთ პარტიული მანდატები, გამოდით კავშირის რიგებიდანო, მხოლოდ ძალების დაქსაქსულობასა და დაპირისპირებას იწვევს. ანკი, სანდოა პოზიციის ასე, ვითარების მიხედვით სწრაფად შემცვლელი კაცი?! მე კომკავშირის ბრმა დამცველი არ გახლავართ, მაგრამ ვთვლი, რომ უკომპრომისო მოთხოვნები დემოკრატიის გზით მომავალ ჩვენს რესპუბლიკას მხოლოდ ზიანს მოუტანს.

დაუშვებლად მიმაჩნია დიფერენციაცია, თუ ვის აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა ეროვნულ მოძრაობაში და ვის — არა!

რესპუბლიკის დღევანდელ ხელმძღვანელობასთან დამოკიდებულებაც კონსტრუქციული უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში შეურიგებელი. ეს ხომ სხვის წისქვილზე ასხამს წყალს. გარდამავალ პერიოდში მაინც უნდა შევეცადოთ კონსოლიდაციას, რათა უმთავრეს მიზანს — საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას მივაღწიოთ.

ერთსაც დავძენ: ერთმანეთისათვის დაუფიქრებლად ერის მოღალატის იარლიყის მიწებებითა და ურთიერთმტრობით, ისტორიულად ბევრი დაგვიკარგავს. ახლაც გახშირდა ამ უმძიმესი ბრალდების ჰაი-ჰარად მიტმასნა და ურთიერთშუღლი. ეს დამღუპველი გზაა.

დაბოლოს, ვიმეორებ, სასურველს რეალურში ნუ ავურევთ დღევანდელობის ყოველმხრივი ზუსტი, ღრმა ანალიზი, მისი სადი შეფასებაა მიზნისკენ წინსვლის მტკიცე ბალავერი. მიღებული გადაწყვეტილებების სისწორის შემოწმების პირუთვნელი მსაჯული კი დრო გახლავთ...

ესაუბრა
**კოტე გურგენიძე.**

## საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

15 მაისს, დილის 10 საათზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს მიმდინარე წლის 14 მაისს, დილის 10 საათიდან, ხოლო 15 მაისს — დილის 8 საათიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში.

# პარტიის ოცდამერვე ყრილობის შესახვედრად

# ...თუ გამორჩევით მქმნელია

## „კომუნისტის" დაუსწრებელი მრგვალი მაგიდა

### ნაწილი მეოთხე

**ჩვენი** რედაქციის ფოსტა მდიდრდება დაუსწრებელი მრგვალი მაგიდის მასალებით. დღეს მკითხველს ვთავაზობთ კითხვა-პასუხების უკვე მეოთხე ნაწილს, რომელიც, ბუნებრივია, კვლავ აქტუალურ საკითხებს ეხება.

**1. როგორ აფასებთ პარტიაში შექმნილ ამჟამინდელ ვითარებას, რა მიგაჩნიათ კრიზისული მოვლენების დაძლევის ქმედით საშუალებად, რას გავემიჯნოთ, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის რომელი ფორმები და მეთოდები მიგაჩნიათ ყავლგადასულად, რას შემოგვთავაზებდით მათს სანაცვლოდ?**

**2. ბოლო დროს ბევრი პარტიული თუ სხვა ხელმძღვანელი განთავისუფლდა სამუშაოდან თვით მოსახლეობისა თუ სხვადასხვა დაჯგუფებათა აქტიური ჩარევის შედეგად. როგორ აფასებთ ამგვარ აქციებს?**

**3. როგორ გესმით პარტიის განახლების პროცესი, მომწიფდა თუ არა თვით პარტიის სახელწოდების შეცვლის იდეა, დეფორმაციებიდან რას გამოყოფდით უპირატესად, როგორც საზოგადოებრივად საშიშს, შეიძლება თუ არა კომუნიზმი მივიჩნიოთ უმაღლეს მიზნად, როგორ შეესაბამება ფასეულობათა ხელახალი შეფასების ტემპები საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებას, რა აზრისა ხართ პარტიის ახალი წესდების პროექტზე?**

**4. როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს კომუნისტური პარტიის დამოუკიდებლობა, კერძოდ, რა კავშირურთიერთობა შეიძლება არსებობდეს ცენტრთან?**

**თქვენი აზრით, რა გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო ეთნოკრიზისების დასაძლევად?**

**5. პირადად თქვენ როდის და რატომ შეხვედით პარტიაში (რატომ არ შეხვედით, რატომ გამოდით პარტიიდან), გაგიმართლათ თუ არა იდეალმა, რისი გწამთ, რომელ პარტიაში ყოფნას ამჯობინებდით მრავალპარტიულობის პირობებში?**

ლად მიმაჩნია სხვადასხვა პარტიების თუ მიმდინარეობების დაპირისპირება. თავისუფლება ყველამ ერთად, კომუნისტებმაც და უპარტიოებმაც, ყველა სოციალურმა ჯგუფმა თუ ფენამ ერთობლივად უნდა მოვიპოვოთ.

2. მოსახლეობისა თუ სხვადასხვა დაჯგუფებათა აქტიური ჩარევის შედეგად თანამდებობიდან პარტიული თუ სხვა ხელმძღვანელის განთავისუფლება დღევანდელი რეალობაა. ასეთი აქცია იმის მაჩვენებელია, რომ ხელმძღვანელობა ვერ ახერხებს სათანადო ორგანიზაციულ-საკადრო ღონისძიებების განხორციელებას. ჩემი აზრით, ყველაზე მიზანშეწონილია ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელის არჩევა ალტერნატიული კანდიდატებიდან, ფარული კენჭისყრით.

3. პარტიის განახლებისათვის აუცილებლად მიმაჩნია მის ბევრ დოგმებზე, მოძველებულ პრინციპებზე, მუშაობის მეთოდებსა და ფორმებზე უარის თქმა. სახელდობრ, პარტიამ უარი უნდა თქვას ერთადერთ იდეოლოგიად მარქსიზმ-ლენინიზმის აღიარებაზე; ცნობილია, რომ ბევრ საკითხზე მარქსისა და ლენინის შეხედულებებს შორის პრინციპული განსხვავებაა. მაგალითად, რუსეთში ევროპის განვითარებულ ქვეყნებზე უკეთესი ობიექტური პირობები არ იყო სოციალისტური რევოლუციისათვის. ამიტომ მის შენარჩუნებას ძალადური საშუალებები და მეთოდები დასჭირდა. პარტიამ უარი უნდა თქვას მონოპოლიზმზე, რადგან მას დიქტატურამდე, ინტელექტუალურ გამოფიტვამდე მივ-

მუნისტური პარტია რეალურად და არა სიტყვით, შესძლებს თვითგარდაქმნას, თვითგანწმენდას და სხვა პოლიტიკურ პარტიებთან პატიოსან, დემოკრატიულ საწყისებზე ბრძოლაში ავტორიტეტის მოპოვებას, უარს იტყვის ძალადობაზე, რეპრესიულ მეთოდებზე, თუ თავისი მოღვაწეობით დაამტკიცებს, რომ ის ნამდვილად გამოხატავს ქართველი ხალხის, მთელი საქართველოს ინტერესებს, მისწრაფებებს, ერთგულად ემსახურება ხალხს, დაეფუძნება ჰუმანისტურ იდეებს, — მაშინ, ცხადია, მისი არსებობა გამართლებული იქნება. თუმცა ალბათ, სასურველი იქნება სახელწოდება მაინც შეეცვალოს ვინაიდან შინაარსით განახლებულ პარტიას ფორმაც შესაბამისი უნდა ჰქონდეს. ამიტომ სწორად მიგვაჩნია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის როინ მეტრეველის წინადადება, რომ განახლებულ პარტიას ეწოდოს დემოკრატიულ-ჰუმანისტური პარტია.

რაც შეეხება ცენტრთან ურთიერთობას, ცენტრი საქართველოში უნდა იყოს და არა მის გარეთ. სხვანაირად წარმოუდგენელია დამოუკიდებელი პარტიისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა. სხვა პარტიებთან ურთიერთობა, იქნება ეს რესპუბლიკის შიგნით, თუ გარეთ, როგორც წესი, უნდა ემყარებოდეს პარიტეტის პრინციპებს.

ეთნოკრიზისების დაძლევის მთავარ პირობად სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება მიმაჩნია, მართალია ეს ადვილი თავიდან არ იქნება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თანდათან ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

ბა, დემოკრატია საზოგადოების უმეტესობამ პირად კეთილდღეობას დაუკავშირა, მოიშალა შრომითი დისციპლინა, არავის მუშაობა არ უნდა. ჩემი აზრით, პარტია ვერ ზრუნავს წესრიგის დასამყარებლად.

რასაკვირველია, უკან, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდისაკენ დაბრუნება უაზრობაა. მას არასოდეს მოუტანია სიკეთე საზოგადოებისათვის. სანამდე შრომა ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებად იქცეოდეს, დემოკრატიის ფარგლებში აუცილებელია გამოინახოს მასებზე ზემოქმედების რაღაც ძალა, რომელიც დაამკვიდრებს ადამიანში საზოგადოებრივი სიკეთისათვის ქმედების იდეას.

მხოლოდ ლაპარაკი საზოგადოებისათვის დამღუპველია, მას მტკიცედ უნდა გავემიჯნოთ, საჭიროა სიტყვა საქმედ იქცეს, თანაც საზოგადოებისათვის სათაკილოა წარსულის ხელაღებით დაგმობა, მარტოოდენ წარსულის გაკილვა და განქიქება არაფრისმომტანია. ძირითადი კრიტიკა თანამედროვეთა შორის უნდა გაიშალოს. საჭიროა მტკიცედ დამკვიდრდეს თვითკრიტიკა, მართალი სიტყვა, სიმართლე და პატიოსნება სალანძღავი კი არა, არამედ სათაყვანებელი უნდა გახდეს.

2. ხელმძღვანელი, რომელიც ვერ გაითავისებს გარდაქმნის პროცესს და დაბრკოლებას შექმნის მომავალი პროგრესის გზაზე, უნდა გადადგეს თანამდებობიდან და ადგილი დაუთმოს უფრო ღირსეულსა და პერსპექტიულ პიროვნებას. თანამდებობა მარტოოდენ ადამიანის ეკონომიკური უზრუნველყოფის წყარო კი არა, სულიერი მოთხოვნილება უნდა გახდეს. მხოლოდ ანგარებისაგან თავისუფალი პიროვნება შეიძლება იყოს ხალხის მსახური.

3. ჯერჯერობით პარტიის განახლების პროცესი არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. პიროვნებებს, რომლებიც განდიდების თუ გამდიდრების მიზნით შევიდნენ პარტიაში, ჯერ კიდევ არ ეთმობათ თბილი ადგილები. არიან ადამიანები — სმულთ პარტია, საბჭოთა წყობილება, ილტვიან სხვა დაჯგუფებებისა და საზოგადოებებისაკენ, პარტიის რიგებს კი ვერა და ვერ თმობენ. პარტია არ აქტიურობს, არ წმენდს თავის რიგებს უღირსთაგან, სხვაგვარად კი გაუჭირდება ავტორიტეტის აღდგენა.

თანამედროვე პირობებში ალბათ ალტერნატიული პარტიების არსებობა აუცილებელია, მაგრამ საჭიროა მინიმუმამდე დავიდეს მათი რაოდენობა. პარტიებად და ჯგუფებად დანაწევრებას საქართველოსათვის არასოდეს არ მოუტანია ბედნიერება. ქართველი ხალხი უნდა გაერთიანდეს, გამთლიანდეს და ერთ მუშტად შეიკრას გარეშე მტრებთან საბრძოლველად.

4. საქართველოს დამოუკიდებლობა ისე სჭირდება, როგორც თევზს წყალი. თუ კი კომუნისტური პარტია დარჩება როგორც ერთ-ერთი რიგითი პარტია, საჭიროა იგი გამოეყოს საკავშირო ცენტრს, მაგრამ კონფედერაციის ფარგლებში უნდა მოიძებნოს ურთიერთმეგობრობის ეფექტიანი გზები. ცენტრთან მთლიანად კავშირის გაწყვეტა თანამედროვე ვითარებაში ალბათ შეცდომა იქნებოდა.

5. კომპარტიაში ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში 1947 წელს, ჯერ კიდევ 20 წლის ახალგაზრდა შევედი. ეს ის პერიოდია, როცა ჩვენმა ქვეყანამ სასწაულებრივად დაამარცხა ფაშისტური ურჩხული და თანდათანობით მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები. მე ამ ლეგენდარული პროცესების თვითმხილველი და უშუალო მონაწილე ვარ. წარმოშობით უღარიბესმა გლეხმა, საკუთარი თვალით დავინახე, როგორ დაიმსხვრა „ფაშისტური მანქანა". ყოველივე ამან ჩემში ჩამოაყალიბა რწმენა, რომ პარტიას ხალხი დასახული მიზნისაკენ მიჰყავდა, იგი იცავდა სიმართლესა და პატიოსნებას. ამ რწმენით შევედი პარტიაში, დავამთავრე უმაღლესი სკოლა და გავედი ცხოვრების ასპარეზზე.

მაგრამ ჩვენი საუკუნის 50-იანი წლების დასასრულიდან უკვე თანდათანობით ყველაფერი თავდაყირა დადგა. განსაკუთრებით მომაკვდინებელი იყო ჩემთვის სიყალბე და ორპირობა. სიტყვა და საქმე საგრძნობლად დაშორდა ერთმანეთს. მოიშალა შრომის დისციპლინა, დაკანონდა კორუფცია. მე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ზემოხსენებული დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლას შევალიე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. პირიქით ჩემი პატიოსნებითა და სიმართლით გარიყული აღმოვჩნდი საზოგადოებისაგან. ყოველივე ამის გამო 1990 წლის იანვრიდან დავტოვე სკკპ რიგები, დავტოვე იგი დიდი სულიერი ტკივილის ფასად (ხუმრობა ხომ არ არის, 43 წელი გავატარე პარტიის რიგებში). წარმოიდგინეთ, ჩემში კვლავ ღვივის ოპტიმიზმის ნაპერწკალი, კვლავ ძლიერადაა ჩემში ფესვგადგმული სიმართლისა და პატიოსნების ერთგულება, მწამს მომავლისა. მაგრამ ეჭვიც მღრღნის გულის სიღრმეში: აღიდგენს კი პარტია თავის ავტორიტეტს?

განცხადებაში, რომელიც მე პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტს წარვუდგინე, აღვნიშნე: ახლა ფაქტიურად პარტია დაიშალა; აღმოცენდა მრავალი ორგანიზაცია და დაჯგუფება, რომლებიც აყალიბებენ ცალკე პარტიებს, რამდენი ორგანიზაციაა, იმდენი ხელმძღვანელი ბირთვია. ყველას თანამდებობა და კარიერა სურს; პარტია უძლურია. მოთოკოს აღვირახსნილი, კარიერისაკენ მიმსწრაფი ადამიანების ამბიციები, ამიტომ გადავწყვიტე, გამოვედი სკკპ რიგებიდან. ამასთანავე ვრჩები ჩემს პოზიციებზე — ჩემი რწმენა — ურყევია. სიმართლის, პატიოსნების, ჰუმანიზმის გამარჯვების რწმენა — ურყევია. დაუნდობლად ვიბრძოლებ სიყალბის, უდისციპლინობის, კორუფციის წინააღმდეგ, არ გავერთიანდები არცერთ დაჯგუფებაში და პარტიაში. ჩემი პარტია არის სიმართლე, სინდისი და პატიოსნება, ჩემი პარტია არის ჩემი სამშობლო — ერთიანი, განუყოფელი, დამოუკიდებელი, თავისუფალი, სუვერენული საქართველო.

## თამარ ღურწკაია,

ზუგდიდის მესამე საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი:

1. **შექმნილი** კრიზისული ვითარება, ჩემი აზრით, შედეგია იმისა, პარტიამ ნაცვლად იმისა, რომ ებრძოლა თავისი რიგების განწმენდისათვის, მისი გაჯანსაღებისათვის, მოვლენებს თვითდინებაზე მიუშვა. განა თავისუფლება, დემოკრატია იმას ნიშნავს, ვის როგორც უნდა, როგორც ხელს აძლევს, ისე ილაპარაკოს და ისე იმოქმედოს? ყველა, დიდი და პატარა ადამიანი უნდა მოქმედებდეს კანონის შესაბამისად და მას არ უნდა არღვევდეს.

2. პარტიული და სხვა ხელმძღვანელის განთავისუფლება სამუშაოდან უნდა ხდებოდეს წამოყენებული ბრალდების დადასტურების შემდეგ, ვისი წამოყენებულიც იგი არ უნდა იყოს. ამ განთავისუფლებას ისევე პარტიული და საბჭოთა ორგანოები უნდა ახდენდნენ.

3. ქართველი ხალხის ნდობა უნდა დაიმსახუროს, ამას მხოლოდ თავდადებული შრომით, წესდების და პროგრამის მოთხოვნათა დაცვის შედეგად მიაღწევს.

სახელწოდების შეცვლა, ჩემი აზრით, არაფერს მოგვცემს და არცაა საჭირო.

4. საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის შექმნა, მე მგონია, ჯერჯერობით არ იქნება სწორი. რაც შეეხება ეთნოკრიზისს, იგი რაც შეიძლება მალე და სამართლიანად უნდა მოგვარდეს. ზოზინით, რაც ასე დამკვიდრდა თითქმის ყველა საქმეში, წინ ვერ წავალთ და საშურ საქმეებს, რომლებიც ასე დაგროვდა ჩვენში, ვერ მოვაგვარებთ.

კომუნისტურმა პარტიამ უნდა აღადგინოს თავისი ავტორიტეტი, იგი უნდა იყოს პოლიტიკური ხელმძღვანელი. საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი მიზანი, მე მგონია, იქნება ეკონომიურად დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს შექმნა და განმტკიცება.

5. პარტიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დროს შევედი. პარტიის წევრი ვარ 1940 წლიდან. მე კომუნისტური პარტიისადმი დიდი რწმენა მქონდა და დღესაც მაქვს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ განახლებული, განწმენდილი და განმტკიცებული კომუნისტების პარტია ჰუმანური და დემოკრატიული სოციალიზმის აშენების ავანგარდი იქნება. რაც შეეხება კომუნიზმს, იგი შორეული საქმეა.

მე მთელი ჩემი ენერგიით უანგაროდ მიშრომია, მიბრძოლია და მომავალშიც ვიბრძოლებ პარტიის ნათელი იდეალებისათვის. ვარ და ვიქნები მისი აქტიური წევრი.

## მიხეილ გაფრინდაშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

1. **საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი რესპუბლიკური ორგანიზაციის — საქართველოს კომპარტიის ახლანდელი კრიზისი განპირობებულია მისი ხელმძღვანელობით შექმნილი და 70-73 წლის მანძილზე არსებული საბჭოური საზოგადოების ყოველმხრივი, ე. ი. როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური, ისტორიულ-კულტურული და იდეოლოგიური ვითარებით.

ამ ვითარების ობიექტური, მეცნიერული შეფასება შეუძლებელი იქნება, თუ ვიხელმძღვანელებთ იმ საეჭვო წანამძღვრით, რომ თითქოს აქამდე მიგვიყვანა რომელიმე, თუნდაც გამოჩენილი პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის მოღვაწეობამ, სოციალისტურმა რევოლუციამ, სოციალისტურმა წყობილებამ, სოციალისტურმა აღმშენებლობამ და ამა თუ იმ სახით სოციალისტური საზოგადოების აშენებამ, რადგან, ჯერ-ერთი, ჩვენში არც რევოლუციამდე და სოციალიზმამდე არსებულა სამოთხე, რომელიც თითქოს მერე ჯოჯოხეთით შეცვლილიყოს და, მეორეც, პირველი მსოფლიო ომიდან მეორე მსოფლიო ომამდე განვლილ და კარგახანს შემდეგაც არსებულ მართლაც ჯოჯოხეთურ ეპოქაში იმავე „კომუნისტურმა" სოციალიზმმა მინიმუმ სამჯერ მაინც იხსნა ჩვენი ქვეყნის და არა მარტო ჩვენი ქვეყნის ხალხები ეროვნული თუ, შესაძლოა, აგრეთვე მსოფლიო კატასტროფისაგან (პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ცივი ომი და თერმოატომური ომის სასიკვდილო საფრთხე).

თუ ასე, ისტორიულად და ობიექტურად მივუდგებით ახლანდელ კრიზისულ ვითარებას პარტიაში, ყველასათვის ნათელი გახდება, რომ უნდა გავემიჯნოთ ყოველივე ყავლგასულს და ყველა პანიკიორს, რომელიც ან მარტო ისტორიის ჩხრეკითა და მთელი წარსულის გაკილვით იქცევს თავს, ან პარტიიდან გარბის, რათა ბუჩქებში მიიმალოს; უნდა დავგმოთ პარტიული ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი, რიგ პარტიულ ორგანიზაციათა და პარტიულ ორგანოთა ფორმალურად, ქაღალდზე არსებობა, გულგრილობა, უკონტროლობა, დაბნეულობა, უპოზიციობა, პასიურობა, უნიათობა, განუკითხაობა, პრივილეგიზმი, პროტექციონიზმი და კორუფციონიზმი, ერთი რიგის მოვლენათა ცალმხრივად და უზომოდ გაზვიადება და მეორე რიგის არანაკლებ მნიშვნელოვან მოვლენათა უგულებელყოფა და, რაც მთავარია, აბუჩად აგდება შრომისა და მშრომელისა, შრომითი დისციპლინისა და ნამდვილი დემოკრატიისა ანუ სახალხოობისა და საჯაროობისა, ჭეშმარიტი იდეოლოგიური და პოლიტიკური პლურალიზმისა და მრავალნაირობისა როგორც აზროვნების, ისე ქცევის სფეროში.

2. პარტიული თუ სხვა ხელმძღვანელნი მუდმივად უნდა იცვლებოდნენ. ეს აქცია აუცილებელი და კარგია, მაგრამ ცუდია, თუ მათი შეცვლა „სხვადასხვა დაჯგუფებათა აქტიური ჩარევის შედეგად" ხდება და არა მათი ამომრჩევლების თუ დამნიშვნელების ყოველმხრივი განხილვის, შეფასების და გადაწყვეტილების შედეგად. არც ისაა კარგი, რომ რომელიმე ხელმძღვანელის განთავისუფლებისას საჯაროდ არ აცხადებენ მისი განთავისუფლების ნამდვილ მიზეზს და კმაყოფილდებიან მოკლე და ბუნდოვანი ფრაზით — სხვა სამუშაოზე გადაყვანის ან პირადი განცხადების გამო. უმთავრესი კი, რა თქმა უნდა, ის არის, თუ ვის ნიშნავენ განთავისუფლებულის ნაცვლად, უმჯობესს თუ უარესს, პატიოსანს თუ უპატიოსნოს, ნიჭიერს თუ უნიჭოს, გამოცდილს თუ გამოუცდელს, მოკლედ — უნარიანს და საქმიანს, თუ უუნაროს და უსაქმურს...

3. კომუნისტური პარტიის განახლების პროცესი, ისევე როგორც საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების გარდაქმნის პროცესი, ჩემი გაგებით, მის თვისებრივ ცვლილებას და გაუმჯობესებას უნდა ნიშნავდეს და არა ლიკვიდაციას და გაუქმებას; კომუნიზმიც, თუ იგი საყოველთაო შრომის, თანასწორობის, თავისუფლებისა და კეთილდღეობის საზოგადოებაა, რატომ არ შეიძლება მივიჩნიოთ უმაღლეს მიზნად თუ იდეალად, ხოლო თანამოაზრეთა იმ ჯგუფს თუ პარტიას, ვისაც ეს იდეალი სწამს, კომუნისტური ერქვას? მით უფრო, თუ ეს კომუნისტური ჰუმანისტურ-დემოკრატიული იდეალი საკაცობრიოდ და ქრისტიანულადაცაა აღიარებული ძველთაგანვე და მისი პირველი საფეხური ჰუმანისტურ-დემოკრატიული სოციალიზმი რიგ კომუნისტურ პარტიებს უახლოეს პრაქტიკულ მიზნადაც მიაჩნიათ. განა ამ სახელწოდებების ბრალია, რომ დოგმატიკოსებმა მათ სახელი გაუტეხეს? ამრიგად, თუ საუბარი კომუნისტური პარტიის გარდაქმნაზეა, მისი სახელწოდება არ უშლის ხელს ამას, ხოლო თუ მის გაუქმებას გულისხმობს ვინმე, მაშინ პარტიასაც ალბათ სხვა სახელი დაერქმევა, თუმცა რამდენი პარტიაა ქვეყნად, სახელი რომ ძველისძველი აქვს, მაგრამ აზროვნება და მოქმედება უახლესი?...

4. ჩემი აზრით, საქართველოს კომუნისტური პარტიის დამოუკიდებლობა წარმოუდგენელია საქართველოს დამოუკიდებლობის გარეშე, ხოლო ერთიც და მეორეც — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან ნამდვილი, განახლებული, ჭეშმარიტ თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებული ფედერალური ურთიერთობის გარეშე, მშვიდობიანი გზით მათთან კონსენსუსის მიუღწევლად. უფრო სასურველად, რა თქმა უნდა, მეც სრული სუვერენიტეტი მიმაჩნია, ისევე როგორც ყველა ჭეშმარიტ კომუნისტ, ჰუმანისტ, პატრიოტ და დემოკრატ ქართველ ადამიანს, მაგრამ პოლიტიკა და პოლიტიკური მოღვაწეობა პარტიასა თუ საზოგადოებაში სინამდვილეს უნდა ემყარებოდეს და არა მხოლოდ სურვილს, ობიექტურ შესაძლებლობას და არა ოცნებას. ჯერჯერობით კი საქართველოს კომპარტიაც და საბჭოთა კავშირისაც, საქართველოც და საბჭოთა კავშირიც ობიექტურად მზად არიან მხოლოდ ფედერალური კავშირურთიერთობისათვის ჭეშმარიტად თანასწორუფლებიან პარტიათა და სახელმწიფოთა ფედერაციაში.

საქართველოს კომპარტიის პროგრამა და წესდება, ისევე როგორც უმაღლესი იდეალი ქართველი ერისა და საქართველოს სხვა ეროვნებებისა, უნდა იყოს ეროვნულიც და სოციალისტურიც, ინტერნაციონალურიც და კომუნისტურიც, ჰუმანისტურიც და დემოკრატიულიც. ეს თავიდან აგვაცილებს კონფრონტაციას სხვა პარტიებთანაც, ეროვნებათა და ერთა შორისაც, სახელმწიფოებს შორისაც და თვით საქართველოს კომპარტიის გათიშვასაც. სამწუხაროდ, ბევრს არა სწამს, რომ 400 ათასი კომუნისტიდან დიდ უმრავლესობას არანაკლები წარმატებით შეუძლია გარდაიქმნას, თუ უკვე გარდაქმნილი არ არის, ჭეშმარიტად ეროვნულ ჰუმანისტურ-დემოკრატიულ პარტიად...

რაც შეეხება ეთნოკრიზისთა დაძლევის საშუალებებს, ამის რეცეპტურა არავინ იცის, მაგრამ ნათელია, რომ გართულებების მოგვარების ერთ-ერთ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ ეროვნულ ჯგუფთა, ეროვნებათა და ერთა მოქალაქეობრივი და ეროვნული სტატუსის მეცნიერული სიზუსტით და პოლიტიკური სიფრთხილით განსაზღვრა.

5. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში შევედი 1949 წელს, ასპირანტურაში სწავლის დროს. ყველას გვიჭირდა მაშინ, ყველაფერი გვაკლდა, ლუკმა პურიც კი გვენატრებოდა, მაგრამ საყოველთაო შრომის, განათლებისა და კეთილდღეობის კომუნისტური იდეალის რწმენა არ გვაკლდა. ჩემი კომუნისტი ბიძა რომ არა, მე, ალბათ, მაინც არ შევიდოდი პარტიაში, თავი მოპოეტო-მოფილოსოფოსო თავისუფალ ადამიანად მიმაჩნდა და მეშინოდა, ვაითუ კომუნისტის მკაცრი მოვალეობის შესრულება ვერ შევძლო-მეთქი.

კომუნისტური ჩემთვის და ჩემი თაობისათვის ნიშნავდა უმაღლესად ადამიანურს და გაოცებული ვიყავი ხოლმე, ზოგჯერ ირონიულად და ხუმრობით თუ ვინმე გაიღიმებდა ჩემს გულუბრყვილობაზე. მერე ისე მოხდა, რომ უნივერსიტეტის ერთი სამეცნიერო კონფერენციის შემდეგ დოცენტობა საქალაქო კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგეობაზე გამაცვლევინეს, კვლავაც ჩემი სურვილის გარეშე, რაკი მანამდე პარტბიუროს წევრიც კი არა ვყოფილვარ. ოთხ წელს გავძელი, პარტიულად ყვირილი მაინც ვერ ვისწავლე. მერე კი, რაიკომის პირველი მდივნობა რომ დამიპირეს, ვეღარ მოვითმინე და უნივერსიტეტში დოცენტად დაბრუნება ან აკადემიაში რიგითი მეცნიერად გადაყვანა მოვითხოვე. სამი წლის მერე მაინც გადავედი, ჯერ ცოტა მაღალ ადგილზე, მერე რიგითად, მერე ისევ ზევით-ქვევით, სანამ ბოლოს ისტორიის ინსტიტუტში არ აღმოვჩნდი, სადაც უკვე სხვა 350 კაცთან ერთად 25 წელია შეძლებისდაგვარად ვშრომობ ჩემთვის, ოჯახისათვის, ინსტიტუტისათვის, საქართველოსათვის, პარტიისათვის.

ამჟამად ვრჩები უპირობოდ კომუნისტად, კომუნისტური პარტიის წევრად და ვიმედოვნებ, რომ იგი გადაიქცევა საყოველთაო შრომისა და თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური თანასწორობისათვის მოღვაწე და მოაზროვნე ჰუმანისტურ-დემოკრატიულ პოლიტიკურ ორგანიზაციად.

## რევაზ სალია,

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი:

1. **თქვენს** კითხვაშივე ჩანს, რომ პარტია კრიზისშია. მისი დაძლევისათვის პარტია უნდა გაემიჯნოს სიცრუესა და ყალბისმქმნელობას, სასურველის რეალობად წარმოჩენას, ლოზუნგებით შენიღბულ, საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებათა უარმყოფელ საქმიანობას, ერთეულთა სურვილის პარტიის სურვილად გამოცხადებას და საბოლოოდ ხალხის ნებად გადაქცევას. თქმა მართლისა, ქმნა მართლისა გართულებებიდან თავდაღწევის ერთადერთი გზაა.

2. ხალხს მობეზრდა ადგილობრივ ხელმძღვანელთა მბრძანებლობა, და მათგან გასათავისუფლებლად, ცხოვრების უფრო მისადები პირობების შესაქმნელად გარდაქმნას იყენებს. ასეთ დროს რამდენად რეალურია საჭირო ცვლილებების მიღწევა ერთი მდივნის მეორით შეცვლით?

3. ხის განახლება შესაძლებელი და საზრიანია, თუ მისი ძირი ძლიერია და ლუტი სალი. მაშინ დროული გასხვლა მისი განახლების საწინდარია. მაგრამ რა აზრი აქვს ძირიან-ფესვიანად გამოჭმული ხის გასხვლას და განახლებას?!

მიზანი ყოველი საზოგადოებისა უნდა იყოს ადამიანთა ისეთი ერთობა, რომელიც პიროვნებას თავისუფალი შრომისა და ცხოვრების, თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას მისცემს. პარტიის ახალი წესდების განხილვის სურვილი დამიკარგა XXVIII ყრილობისადმი პარტიის პლატფორმის პროექტმა. არ შეიძლება მოსაწონი იყოს იმ პარტიის წესდება, რომელიც თავის საქმიანობას აგებს ამა წლის თებერვლის პლენუმის მიერ გამოცხადებულ პლატფორმაზე.

4. საქართველოში მოქმედი ნებისმიერი პარტიის დამოუკიდებლობა უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ ინტერესს, რაც გულისხმობს ერთიანი, თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს შექმნას. ასეთი საქართველოსათვის მებრძოლ პარტიას ცენტრი საქართველოში უნდა ჰქონდეს და არა მის ფარგლებს გარეთ, ხოლო ყოველი საგარეო კავშირი სხვა პარტიასთან სრულ თანასწორობას უნდა დაემყაროს.

ეთნოკრიზისის გადაჭრა უნდა დაიწყოს მომხდარის მორალურ-პოლიტიკური შეფასებით, დამნაშავეთა პარტიულ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით, კანონის ძალით მათი უეჭველი დასჯით. მხოლოდ ასეთი ნაბიჯები შეიძლება დაედოს საფუძვლად ეთნოკრიზისის მოგვარებას, რაც საბოლოოდ მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოში შეიძლება.

5. პირადად მე 1956 წლის 9 მარტის შემდეგ პარტიაში შესვლაზე უარი ვთქვი, რადგან მიხაბავს რესტორან თბილისის ფოიეში დამდგარი სისხლის გუბე.

შეძლებისდაგვარად ვილვწი იდეალისათვის, რაც მე წარმომიდგენია თავისუფალი, სამართლებრივი და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს სახით, მაგრამ ჯერჯერობით რომელიმე პარტიაში შესვლის სურვილი არა მაქვს.

## გურამ ყუფუნია,

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში:

1. **პარტიაში** ისევე, როგორც მთლიანად საზოგადოებაში, მდგომარეობა უაღრესად კრიტიკულია. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისის გამომწვევი მიზეზები ყველასათვის აშკარაა, გამოსავალი გზების დასახვაც მეტად გართულებულია. ამას ნათლად ადასტურებს გარდაქმნის 5 წლისთავი, რომელმაც რეალური და ხელშესახები პრაქტიკულად ჯერჯერობით არაფერი მოგვიტანა, გარდა სიტყვის თავისუფლებისა. თანაც უმრავლესობამ დემოკრატია და თავისუფლება წარმოიდგინა როგორც ყველაფრისაგან, მათ შორის პასუხისმგებლობისა და დისციპლინისაგან განთავისუფლებად. მაგრამ უპასუხისმგებლო და უდისციპლინო დემოკრატია უზნეობაა. არადა, ზემოთქმულისნაირად გაგებულმა და მიღწეულმა დემოკრატიამ შეიძლება საზოგადოება სრულ ქაოსამდე მიიყვანოს. სამწუხაროდ, ამის ნიშნები ჩვენთან უკვე არის. ჩვენი მტერია ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი, ყველაზე მეტად განათლებასა და მეცნიერებაში. ამის ყველაზე ნათელი გამოხატულებაა ის, რომ სანთლით საძებარი გახდა ხელოსანი, ხოლო უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ხარისხის დიპლომიანებით გაივსო ქვეყანა. დახეთ საოცრებას: კარგი ხელოსანი დღეში 80-100 მანეთს ღებულობს, ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი კი 4-5 მანეთს!..

ამაში დამნაშავე ვართ ყველა: მშობლებიც, მასწავლებლებიც, მეცნიერებიც, მეტნაკლებად ყველამ უნდა აღიაროს თავისი ნებსით თუ უნებლიე შეცდომა თუ დანაშაული, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე გაუმართლებ-

ყვავართ. რაც შეეხება შინაპარტიულ დემოკრატიას, როგორც ცხოვრებამ დაამტკიცა, იგი ფიქცია და დემაგოგიაა. ერთპარტიული მონოპოლიზმის დროს ყველაფერს ყველა დონეზე ერთი კაცი წყვეტს. თანაც ნებისმიერი რანგის ჩვენი დიქტატორი იმავდროულად მონამორჩილიც არის. ეს ნამდვილი უზნეობაა, უზნეობაა აგრეთვე ისეთი ფსიქოლოგია, როდესაც ხელმძღვანელს, სანამ თავის სავარძელში ზის, ვაღმერთებთ, თუნდაც სულელი და ჩიტირეკია იყოს, ხოლო როცა პოსტზე აღარ არის, ვაგინებთ, მიწასთან ვასწორებთ.

დღეს პარტიასა და საზოგადოებაში შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ისაა, რომ ერთპარტიულობიდან, მონოპოლიზმიდან, დიქტატურიდან მრავალპარტიულობაზე, პლურალიზმზე, დემოკრატიაზე გადავიდეთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მრავალპარტიულობის პირობებში თითოეულმა პარტიამ საქმით უნდა დაამტკიცოს თავისი პროგრესულობა და ხალხის ინტერესების ერთგულება.

4. ქართველი ხალხის სანუკვარი მიზანი დამოუკიდებლობა და თავისუფლებაა. მისი მიღწევა თავისთავად გულისხმობს დამოუკიდებელი პარტიის არსებობას. თუ კო- ჯერ ერთი, ვეღარ იმოქმედებს ეგრეთ წოდებული „მესამე ძალის" ფაქტორი და მეორე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დამოუკიდებლობის პირობებში უფრო თვალნათლივ გამოჩნდება ქართველი ხალხის კეთილმოსურნე და კაცთმოყვარე ბუნება, მისთვის დამახასიათებელი ყველა ჰუმანური თვისება.

5. პარტიაში შევედი 1969 წელს, ყოველგვარი კარიერისტული მიზნების გარეშე. თავდაპირველად ღრმად მწამდა პარტიისა. ცხადია, იდეალმა მთლად ვერ გამიმართლა; მაგრამ იმედს დღესაც არ ვკარგავ, რადგან მის რიგებში ამჟამადაც ბევრი ღირსეული ადამიანია. ახლა, როდესაც პარტიას ძალიან უჭირს, უზნეობად მიმაჩნია მისი რიგების დატოვება, მით უმეტეს, როცა პარტია ცდილობს თვითგარდაქმნას, თვითსრულყოფას, დემოკრატიულ, ჰუმანისტურ პოზიციებზე გადასვლას. პარტიამ თუ ეს შეძლო, ხომ კარგი, თუ არა და იგი უჩემოდაც დაიშლება. მაშინ შეიძლება შევიდე იმ პარტიაში, რომელიც საქმით დაამტკიცებს საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის ერთგულებას. საერთოდ კი იმისათვის, რომ კაცმა სასარგებლო საქმე აკეთოს, აუცილებლობად არ მიმაჩნია რომელიმე პარტიაში ყოფნა.

## ავთანდილ იაშვილი,

სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „ენისლის" გენერალური დირექტორის მოადგილე:

1. **პარტიაში** შექმნილი ამჟამინდელი ვითარება საგანგაშოა, რაშიც ლომის წილი თვით პარტიას და მის ლიდერებს მიუძღვით. პირველი დარტყმა პარტიას ნიკიტა ხრუშჩოვმა მიაყენა. საერთოდ, წარსულის გაუთავებელ კრიტიკას და დროის ფუჭ ხარჯვას ჯობს ვისწავლოთ, როგორ მართავდნენ ეკონომიკას ადრე, როგორ აღსდგა ერთ ხუთწლედში ომისაგან დანგრეული ქვეყანა და როგორ ხდებოდა ფასების შემცირებები; ამ პერიოდის შემდეგ ხომ ფასების შემცირება აღარ ყოფილა, პირიქით, ყველაფერს ცეცხლის ფასი დაედო. კრიზისული მოვლენების დასაძლევად აუცილებელია განიწმინდოს პარტია, იყოს კრისტალივით სუფთა.

2. დიახ, დღეისათვის ბევრი პარტიული და სამეურნეო დარგის ხელმძღვანელის სამუშაოდან განთავისუფლება ხდება მოსახლეობისა და სხვადასხვა დაჯგუფებათა ჩარევის შედეგად. ამის მიზეზი ისაა, რომ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში ჯერ კიდევ მრავლად არიან ისეთები, რომლებიც ზიანს გვაყენებენ. საერთოდ, ჩვენი ეკონომიკის წინსვლისათვის, რომლის გარეშე შეუძლებელია ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა, აუცილებლად მიმაჩნია კადრების სწორად შერჩევა და განაწილება. საჭიროდ მესახება რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნას მაღალკვალიფიციური საატესტაციო კომისია, რომლის დასკვნის გარეშე არც ერთი რანგის სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკი არ უნდა იქნას დანიშნული.

3. პარტიის სახელწოდების შეცვლა არაფრის მომცემია, თუ არ შეიცვალა თვით პარტია შინაგანად. უნდა აღსდგეს თვითკრიტიკა, ობიექტურობა და სისპეტაკე, უამისოდ პარტიისადმი რწმენა არ აღსდგება. რაც შეეხება კომუნიზმის უმაღლეს მიზნად მიჩნევას, აქ ცუდს ვერაფერს ვხედავ. მთავარია, როგორ გზებს ავირჩევთ მიზნის მისაღწევად.

4. როგორც მთლიანად საქართველო, ასევე მისი კომუნისტური პარტია უნდა იყოს დამოუკიდებელი. საჭიროა საქართველომ თვითონ მოუაროს თავის თავს, თვითონვე წყვეტდეს ყველა საჭირბოროტო საკითხს. ცენტრთან და სხვა რესპუბლიკებთან ურთიერთობა უნდა დამყარდეს ურთიერთმისაღებ სახელშეკრულებო ვალდებულებათა საფუძველზე.

საჭიროა მთელი სიმკაცრით ამოქმედდეს ახლახან მიღებული კანონი იმათ მიმართ, ვინც წყალს ამღვრევს და ხელს უწყობს ეროვნებათა შორის შუღლის ჩამოგდებას. ეთნოკრიზისის დაძლევა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე ერთ-ერთი გადაუდებელი საკითხია, რომლის გადაწყვეტა ყველა ჩვენგანის, ყველა პატიოსანი ადამიანის მოვალეობაა. უნდა მოვეფეროთ ერთმანეთს და გულთან მივიტანოთ ერთმანეთის სატკივარი.

5. პარტიაში 1954 წელს შევედი. გულახდილად ვამბობ, ეს გავაკეთე რწმენით. ნაკლოვანებათა მიუხედავად, დღესაც მწამს პარტიის მიზნები და იდეალები. ამიტომ, ბოლომდე დავრჩები მის რიგებში, რათა შესაძლებლობის ფარგლებში ვიბრძოლო ყოველივე ნეგატიურის წინააღმდეგ.

## პავლე ნაცვლიშვილი,

ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის დოცენტი:

1. **პარტიაში** ამჟამად რთული ვითარებაა. საქმეს მარტო აღიარება არ შველის, უნდა მოიძებნოს მიზეზები, რამაც განაპირობა ეს. ჩვენი აზრით, დემოკრატია და საჯაროობა საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ წინააღმდეგობრივი გზით მიმდინარეობს. ქვეყნისათვის საშიშმა და კორუმპირებულმა ელემენტებმა გააძლიერეს აქტიურობა. აღარ არის მორიდება, სინდისი, პასუხისმგებლობის გრძნო-

## ჯამბულ კოხრეიძე,

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი:

1. **საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტია ახლა პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბების პროცესშია. საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის პერიოდში პარტია ძალაუფლების რეალიზაციის საშუალებას წარმოადგენდა. ამან გამოიწვია ის, რომ დღეს კომპარტია ფაქტობრივად პოლიტიკოსების გარეშეა დარჩენილი. მდგომარეობა პარტიისა, რომელიც პოლიტიკური მოღვაწეების დეფიციტს განიცდის, რა თქმა უნდა, ფასდება, როგორც უაღრესად რთული, მაგრამ არა გამოუვალი, კრიზისდაუძლეველი.

კრიზისული მოვლენების დაძლევის მიზნით კი, მაგალითად, საქართველოს კომპარტიამ აუცილებლად უნდა განსაზღვროს თავისი სტატუსი, რომელშიც დაფიქსირებული იქნება არამარტო დამოკიდებულება ცენტრთან, ორგანიზაციული სტრუქტურა და სხვა, არამედ უწინარესად მისი ადგილი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისაკენ რომ არის მიმართული. ერთი სიტყვით, საქართველოს კომპარტიამ პოლიტიკური დოკუმენტების (და არა მარტო დოკუმენტების) საშუალებით უნდა აჩვენოს, რა გამართლება აქვს მის არსებობას დღევანდელ საქართველოში.

2. პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი ხელმძღვანელის განთავისუფლებამ თუ გადაყვანამ სხვა სამუშაოზე გარკვეულწილად სტიქიური ხასიათი მიიღო. სამწუხაროდ, ეროვნული მოძრაობა მთელ რიგ პროვინციებში ხელისუფლებისათვის ბრძოლად გადაიქცა. „ცუდი რაიკომის მდივნის" მოცილებით კი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იძულებით კომპრომისზე მიდის ადგილობრივ მოსახლეობასთან, ვითომ ამით რაიმე ეშველებოდეს თუნდაც იმ რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს. ბევრი კორუმპირებული პიროვნება და დაჯგუფება მოხდენილად იყენებს შექმნილ სიტუაციას და ადგილობრივ ოპოზიციურ ძალებთან კავშირით გავლენას ახდენს საკადრო პოლიტიკაზე. ვფიქრობ, ამ პროცესს დროულად უნდა მიეცეს შეფასება. თანამდებობის პირების არჩევაში ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს, მაგრამ არა იმ ფორმებით, სადაც ბატონობს ბრბოს ინსტინქტი.

3. პარტიის სახელწოდების შეცვლა უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა მისი საქმიანობა და მოღვაწეობის შინაარსი აუცილებლად მოითხოვს შესაბამის თვითგამოხატვას. ჯერჯერობით კი პარტიისათვის სახელის შეცვლა მხოლოდ კოსმეტიკა იქნებოდა. პარტიის ახალი წესდების პროექტი განხილვის საგნად უშუალოდ კომუნისტებმა უნდა აქციონ, ხოლო რაც შეეხება შეკითხვას, შეესაბამება თუ არა ფასეულობათა ხელახალი შეფასების ტემპები საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებას, მოგახსენებთ შემდეგს: „საზოგადოებრივი ცნობიერება" არ უნდა წარმოვიდგინოთ ხალხის გონებრივი განწყობის რაღაც ერთნიშნა განზომილებად. თუ ლაპარაკია საზოგადოებრიობის ინტელექტუალური ნაწილის, პროგრესულ-დემოკრატიული ფენების ცნობიერებაზე, მაშინ იგი არათუ შეესაბამება ფასეულობათა გადაფასების მიმდინარეობას, არამედ უსწრებს მას, თავადვე აყალიბებს პროცესის ტემპებს. საზოგადოების ამ ნაწილის ცნობიერების ძველ ფასეულობებთან დამოკიდებულება თავისთავად ქმნის პოლიტიკურ მიზანსწრაფვას, რაც არც თუ ხშირად წინააღმდეგობაში აღმოჩნდება ხოლმე ობიექტურ რეალობასთან. ასეთი წინააღმდეგობა იწვევს პოლიტიკური ვითარების დაძაბვას და ქმნის პოლიტიკური კრიზისის წინაპირობებს. საზოგადოების მეორე, „უფრო დიდი" ნაწილის ცნობიერება კი მეტწილად არ შეესაბამება ფასეულობათა გადაფასების ტემპებს, ჩამორჩება მას, თავისი უნებური კონსერვატიზმით აბრკოლებს კიდეც მოვლენების ობიექტურ განვითარებას. აუცილებელია, ყოველთვის გაეწიოს ანგარიში საზოგადოებრივი ცნობიერების ასეთ დონეს, რადგან ადვილი შესაძლებელია მასთან პოლიტიკური სპეკულაციით ისარგებლოს იმ ძალებმა, რომლებსაც ხელთ არ აწყობთ ისტორიის ჩარხის ტრიალი ობიექტური კანონზომიერებებით.

4. ეს ორი შეკითხვა შემთხვევით არაა ერთად დასმული და ძნელი გასაგები არაა, რომ არის სერიოზული საშიშროება, რესპუბლიკის უმსხვილესი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სრულმა დამოუკიდებლობამ გამოიწვიოს ეროვნებათაშორის დაპირისპირება, განხეთქილება ეროვნული ნიშნის მიხედვით. ასეთი დამოუკიდებლობის მიღებით თვითონ ქართველი კომუნისტები შეუწყობენ ხელს საქართველოში ინტერფრონტის შექმნას. თუნდაც ამის გამო პოლიტიკური ულოგიკობა იქნებოდა ამ ეტაპზე საქართველოს კომპარტიის გამოყოფა.

5. მე სკკპ წევრი არ ვარ (არც ვყოფილვარ). ალბათ არც არის სავალდებულო, თუნდაც მრავალპარტიულობის პირობებში, რომელიმე პარტიის წევრი იყო. პარტია თავისთავად ზღუდავს პიროვნების თავისუფლებას და თუ საჭიროდ ჩავთვლი, იმ პარტიაში შევალ, რომელიც, გარდა იმისა, რომ უნდა გამოხატავდეს ჩემს პოლიტიკურ იდეალს, თავისი ორგანიზაციული სტრუქტურით და ძირითადი დებულებებით ყველაზე მეტ თავისუფლებას მისცემს ინდივიდს, ფრაქციას, დაჯგუფებას.

# უცხოეთში

## შტრიხები პოლიტიკური პორტრეტისათვის



# ჰოსნი მუბარაქი: არაბული სამყაროს „წლის ადამიანი“

**ხელისუფლების** მწვერვალზე ამოსვლა ხშირად დრამატულ მოვლენებთან არის დაკავშირებული, რომელი ერთი გავიხსენოთ — ფილიპინების პრეზიდენტი კ. აკინო, თუ აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტები ლ. ჯონსონი და ჯ. ფორდი. პოლიტიკური პირამიდის წვერში მოქცეული ადამიანი ყოველთვის როდი შეესატყვისება უმაღლესი თანამდებობისადმი წაყენებულ მკაცრ მოთხოვნებს, ამიტომაც ზოგს ნაადრევად უწევს თავისი პოსტის დატოვება, ზოგი კი სამუდამოდ იმკვიდრებს ადგილს ისტორიაში.

...1981 წლის 6 ოქტომბერს ქაიროში სამხედრო პარადის დროს, როდესაც მაყურებელი გაფაციცებით შესცქეროდა რეაქტიულ გამანადგურებლებს, საპატიო ტრიბუნის წინ გაჩერდა სამხედრო მანქანა, იქიდან გადმოხტა ავტომატებით შეიარაღებული რამდენიმე ჯარისკაცი და ცეცხლი გახსნა. პრეზიდენტი ა. სადათი სასიკვდილოდ დაიჭრა და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ამ დრამატულ ვითარებაში ჩაიბარა ხელისუფლება ვიცე-პრეზიდენტმა, ჰოსნი მუბარაქმა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ სრულიად ეროვნული რეფერენდუმის შედეგად იგი ეგვიპტის პრეზიდენტად აირჩიეს.

ჰოსნი მუბარაქი დაიბადა 1928 წლის 4 მაისს პატარა ეგვიპტურ სოფელ ქაფრ-ელ-მუსიჰაში. მამამისი მიწის მცირე ნაკვეთს ფლობდა და ერთდროულად პროვინციის იურიდიულ სამმართველოში მუშაობდა. ხოსნი, რომელიც ფუფუნებაში არ იზრდებოდა, შეუპოვრად სწავლობდა და სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლებმა მას ქაიროს უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტზე ჩაბარება ურჩიეს, მაგრამ ჰოსნიმ სხვა გადაწყვეტილება მიიღო.

1948 წლის ომმა ისრაელთან ცხადყო, რომ არაბული არმიები არაბრძოლისუნარიანია. ეგვიპტის ოფიცერთა კორპუსში მოსვლა დაიწყო ახალგაზრდობამ, მათ შორის იყო მუბარაქიც, რომელმაც სამხედრო მფრინავის პროფესია აირჩია. მიმომხილველები თვლიან, რომ სწორედ არმიამ გააკაჟა იგი, აღზარდა მასში ხასიათის სიმტკიცე და მიზანდასახულობა. 1949 წ. სამხედრო კოლეჯის დამთავრების შემდეგ მუბარაქი მსახურობდა სინაის ნახევარკუნძულზე, შემდეგ კი ინსტრუქტორად საჰაერო აკადემიაში, არაერთხელ ჩამოსულა საბჭოთა კავშირში, სადაც სწავლობდა ფრენას უახლესი ტიპის თვითმფრინავებზე. 1956 წელს იგი მონაწილეობდა სუეცის კრიზისის დროს გამართულ ბრძოლებში. ახალგაზრდა მფრინავის ნიჭი და უნარი შეუმჩნეველი არ დარჩენილა — 1959 წელს იგი დანიშნეს ტუ-16 ბომბდამშენების ესკადრილიის, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ავიაბრიგადის მეთაურად, უმაღლესი სამხედრო განათლება მიიღო საბჭოთა კავშირში, ფრუნზეს სახელობის აკადემიაში, სადაც 1964-65 წწ. სწავლობდა. ყველაზე მძიმე გამოცდა მუბარაქს (ისევე როგორც მთელ ქვეყანას) 1967 წელსელოდა. ისრაელმა სასტიკად დაამარცხა ეგვიპტური არმია — პრაქტიკულად მთლიანად განადგურდა ავიაცია და აუცილებელი გახდა ეგვიპტელი მფრინავების ახალი კადრების სასწრაფო მომზადება, მუბარაქი დაინიშნა სამხედრო კოლეჯის უფროსად ბილბეისეში, სადაც მას ფაქტიურად სწავლების მთელი სისტემის შეცვლა მოუხდა. 1969 წ. კოლეჯი მონახულა გამალ აბდელ ნასერმა და მუბარაქის მოღვაწეობის შედეგების გაცნობის შემდეგ ჩათვალა, რომ მისთვის უფრო ფართო გასაქანი უნდა მიეცათ. მეორე დღესვე მუბარაქი სამხედრო საჰაერო ძალების შტაბის უფროსი, 1971 წელს კი ავიაციის სარდალი გახდა. 1973 წლის ომის შემდეგ, როდესაც მუბარაქის ხელმძღვანელობით წარმატებით განხორციელდა სამხედრო ოპერაციები ისრაელის წინააღმდეგ, მომავალ პრეზიდენტს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება და გადაეცა უმაღლესი სამხედრო ჯილდო-ორდენი „სინაის ვარსკვლავი“. 1975 წელს სადათმა მუბარაქი ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა.

საგარეო პოლიტიკის დარგში პრეზიდენტს კარგად ესმოდა ყველა სახელმწიფოსთან გაწონასწორებული ურთიერთობების დამყარების აუცილებლობა, არაბულ სამყაროსთან ეგვიპტის მჭიდრო კავშირების აღდგენის მნიშვნელობა, მიმომხილველთა უმრავლესობას მუბარაქის მიერ დასახული ამოცანები მაშინ არარეალურად მიაჩნდა, მაგრამ პრეზიდენტი შეუპოვრად მისდევდა შემუშავებულ კურსს, იღებდა მხოლოდ გულდასმით აწონდაწონილ გადაწყვეტილებებს. ცნობილია მისი სიტყვები: „მე არ მიყვარს ელექტროშოკი“.

მუბარაქის მდგომარეობას თავდაპირველად ისიც ართულებდა, რომ მის მოღვაწეობას ფრთხილად აკვირდებოდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის, არაბული ქვეყნების ლიდერები. მუბარაქმა წარმატებით დაძლია ეს გამოცდაც, რამაც საბაბი მისცა აშშ-ის პრეზიდენტს რ. რეიგანს ეწოდებინა მისთვის „ძლიერი ადამიანი, რომელიც არ თმობს პრინციპებს“. როდესაც 1982 წელს ისრაელის ჯარები შეიჭრნენ ლიბანში, ეგვიპტემ არ მოახდინა თელ-ავივთან სამშვიდობო ხელშეკრულების დენონსაცია, როგორც ამას მოითხოვდნენ არაბული სახელმწიფოები და ოპოზიცია ქვეყნის შიგნით, არამედ მხოლოდ ელჩი გამოიწვია ისრაელიდან.

მუბარაქისთვის, ბუნებრივია, ახლო აღმოსავლეთის პრობლემას დღესაც პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს. ახლა სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეთა ყურადღების ცენტრშია ეგვიპტის წინადადება პალესტინა-ისრაელის დიალოგის ქაიროში ჩატარების შესახებ, ამასთანავე პრეზიდენტი მხოლოდ რეგიონული პოლიტიკით არ შემოიფარგლება. მისი ინტერესების სფერო მოიცავს განიარაღებისა და დაძაბულობის შენელების პრობლემებს, ახალი ეკონომიკური წესრიგის შექმნას, დიალოგს „ჩრდილოეთი — სამხრეთი“, განვითარებული ქვეყნების საგარეო დავალიანების საკითხებს. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ამაღლებს მუბარაქის საერთაშორისო პრესტიჟს. რამდენადმე რთულად არის საქმე ქვეყნის შიგნით, თუმცა აქაც შეიმჩნევა დადებითი ძვრები.

არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მუბარაქს და მის მთავრობას არ აკრიტიკებენ, ზოგჯერ საკმაოდ მწვავედაც. რა თქმა უნდა, ქვეყანაში არიან უკმაყოფილონი, არსებობს სოციალური დაძაბულობაც, რომელსაც ხელოვნურად აღვივებენ მუსულმანი ექსტრემისტები. მემარცხენეები აკრიტიკებენ რეჟიმს აშშ-თან მჭიდრო კონტაქტების, მემარჯვენეები კი — საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობების გამო.

ორიოდე სიტყვა მუბარაქის წმინდა ადამიანური თვისებების შესახებ, დამკვირვებლები ერთხმად აღნიშნავენ მის მოკრძალებულ ხასიათს. ერთი ასეთი შტრიხი — მის წინამორბედს სადათს ძალზე უყვარდა მრავალრიცხოვანი ჯილდოებით მორთული სამხედრო მუნდირის ტარება, მუბარაქი კი — პროფესიონალი სამხედრო, პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდეგ არ იცვამს სამხედრო ფორმას. ქვეყანაში მოგზაურობისას არასდროს არ ჩერდება სადათის მმართველობის პერიოდში აშენებულ ბრწყინვალე სასახლეებში. მისი ცხოვრების სტილი მეუღლეზე და ორ ვაჟზეც ვრცელდება — პრეზიდენტად არჩევისთანავე მუბარაქმა არაორაზროვნად განაცხადა: „დაანებეთ თავი ჩემს ოჯახს... ეგვიპტეში არ არის პირველი ლედი“. ისევე როგორც სამხედრო-საჰაერო ძალებში სამსახურის დროს, იგი დილის 5 საათზე იღვიძებს და ამზადებს საუზმეს მთელი ოჯახისთვის, 6-დან 8 საათამდე ეცნობა მოხსენებებს, რის შემდეგაც კანცელარიაში მიემგზავრება. 15 საათამდე ხვდება უცხოურ დელეგაციებს, ატარებს თათბირებს კაბინეტის წევრებთან და სპეციალისტებთან. შემდეგ ორსაათიანი სპორტული შესვენება სამხედრო-საჰაერო ძალების კლუბში — ტანვარჯიში და სკვოში (ჩოგბურთის მსგავსი თამაში), საღამოს კი სამუშაო დღე გრძელდება.

ჰოსნი მუბარაქი დრამატული მოვლენების შედეგად გახდა ეგვიპტის პრეზიდენტი, მაგრამ ცხრა წლის მოღვაწეობით დაადასტურა, რომ იგი ქვეყნის ღირსეული პოლიტიკური ლიდერია.

„კოტიდიენ დე პარი“

## ჩაუშესკუების დახვრეტის შესახებ

ელენე და ნიკოლაე ჩაუშესკუების დახვრეტის ამსახველი კადრები „სპექტაკლია“ და არ შეიძლება გადაღებული ყოფილიყო განაჩენის სისრულეში მოყვანის მომენტში. გაზეთ „კოტიდიენ დე პარის“ ფურცლებზე ეს განაცხადა ლუი ლე რიბომ — ბორდოში კერძო კრიმინალისტიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელმა.

იმ კადრების შესწავლისას, ხადაც ე. ჩაუშესკუს გვამია ასახული, ლაბორატორიის სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ დახვრეტის დროიდან გადაღების მომენტამდე რამდენიმე საათი გავიდა. ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელი იყო ამ კადრების დახვრეტისთანავე გადაღება, — განაცხადა ლუი ლე რიბომ.

ლაბორატორიის დირექტორის თქმით, ჩაუშესკუები მოკლეს ერთი ან რამდენიმე გასროლით საფეთქელში, რასაც ადასტურებს ჭრილობები და სისხლი მათ სახეებზე, მაგრამ სიკვდილის შემდეგ მათ კვლავ ესროლეს.

თუ დავაკვირდებით ტყვიების კვალს კედელზე, რომელთანაც ეყარა გვამები, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩაუშესკუებს ფეხებში ესროლეს, მაგრამ ეს ასე არ არის, ტყვიით დაცხრილულ ტანსაცმელზე სისხლის კვალის უქონლობა მოწმობს, რომ ადგილი ჰქონდა მეორე დახვრეტასაც.

დანაშაულობათა სამყარო:

# ქალაქის მეორე ტრაგედია

**ძველ** რომაულ ქალაქ ჰერკულანუმს, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის 79 წელს ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად ფერფლით დაიფარა, ახალი უბედურება დაატყდა თავს. წლეულს თებერვლის ერთ ღამეს ქალაქის ანტიკური მუზეუმის შენობაში შეიჭრა ათი შეიარაღებული ავაზაკი. მათ განაიარაღეს მუზეუმის დაცვა, პროფესიული გემოვნებით აირჩიეს ხელოვნების ნიმუშები და ღამის წყვდიადში მიიმალნენ. გატაცებული შედევრების სიაში 200 ძვირფას ექსპონატთან ერთად მოხვდა აგრეთვე ბახუსის უნიკალური ბრინჯაოს ფიგურა. ავაზაკების მოქმედებაში აშკარად ჩანდა, რომ მათ ხელთ ჰქონდათ მუზეუმის ზუსტი გეგმა და ექსპონატების კატალოგიც კი.

გატაცებული შედევრები კარგად არის ცნობილი იტალიაში, რაც გამორიცხავს ამ ქვეყნის „შავ ბაზარზე“ მათი გაყიდვის შესაძლებლობას. უდავოა, რომ ჰერკულანუმის შედევრების გატაცების შეკვეთა საზღვარგარეთიდან მოდის. სამწუხაროდ, კერძო კოლექციები აშშ-ში, ვენესუელასა და სხვა ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში დიდი ხანია გადაიქცნენ უძირო ქვევრებად, სადაც ჩაედინება დიდძალი გატაცებული ნადავლი. ამისათვის შედევრებით მოვაჭრენი მოხერხებულად იყენებენ საერთაშორისო აუქციონებს, სადაც ყალბი საბუთებით ყიდიან უძვირფასეს ექსპონატებს და დებენ ახალ კონტრაქტებს. პოლიციის აზრით, „დამკვეთები“ სიცილიური და ნეაპოლური მაფიის სხვადასხვა კლანებს იყენებენ.

ინტერპოლის მონაცემებით, ხელოვნების ნიმუშების გატაცებას, ნარკობიზნესის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს დანაშაულობათა სამყაროში.

„სილამაზეზე მონადირეთათვის“ იტალია საუკეთესო სარბიელია. აქ, ოფიციალურად რეგისტრირებული 35.837.639 ხელოვნების ნიმუშიდან ორი მესამედი საგამოფენო დარბაზების ნაცვლად სარდაფებში, სხვენებსა და საკუჭნაოებში ინახება. კულტურის ძეგლთა დაცვის სამინისტრო ვერ აუდის განგსტერების მოძალებას და უახლოეს მომავალში არავითარი პროგრესული ძვრები არ არის მოსალოდნელი.

რაც შეეხება ბრინჯაოს ბახუსს, იგი აღარასოდეს დაბრუნდება ჰერკულანუმში.



# ალბანეთი დღეს

**ალბანეთში** ძირითადი სატრანსპორტო საშუალებაა ურემი, რომელშიც ცხენი ან ხარია შებმული, თუმცა ქალაქში ველოსიპედები ჭარბობს, ავტომანქანები მხოლოდ ცალკეულ პარტიულ მუშაკებს ჰყავთ.

საკდესის ფოტოქრონიკა.

პრობლემა — თვალსაზრისი — პოზიცია



# გამოსავლის ძიებაში

## სამხატვრო აკადემია შველას ითხოვს!

**თბილისის** სამხატვრო აკადემიის სატკივარის საჯაროდ გამოტანა გადავწყვიტე, როდესაც რეალური დახმარების იმედი გადამეწურა. უიმედობა კი იმან გამოიწვია, რომ სიტყვიერად თანაგვიგრძნობს ყველა — უფროსიც და უმცროსიც, რიგითიც და ხელმძღვანელიც, საშველი კი არ ჩანს.

წერილის მიზანი არც თავის შეცოდებაა, არც დღევანდელი სინამდვილით გამოწვეული სიძნელეების მოხმობით პასუხისმგებლობის აცილების ცდა. წერილს არც სისრულის პრეტენზია აქვს, რადგან პრობლემები თავზე საყრელია — დღესვე გადასაჭრელიც და სამომავლოც, სამხატვრო აკადემიისთვის ნიშანდობლივიც და საერთოც. კულტურის სამინისტრო და მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი აკადემიის შესაძლებლობები კი ამ პრობლემების მოგვარებისა, უაღრესად შეზღუდულია (ალბათ იმის გამეორებაც არ ღირს, რომ სსრ კავშირში კულტურა „ნარჩენებით იკვებება“, არც განათლების სისტემაა უკეთეს დღეში. საწინააღმდეგო მაგალითს მოვიშველიებ — ამერიკის შეერთებულ შტატებში 1989 წელს განათლების სფეროსთვის გამოყოფილი იყო 350 მილიარდი დოლარი (!), მეტი, ვიდრე შეიარაღებული ძალებისათვის!.

ერთადერთი გზა აკადემიის პრობლემების მოგვარებისა სამთავრობო გადაწყვეტილება გახლავთ. მე არ გამოვრიცხავ სპონსორების დახმარებასაც, თუ ასეთები აღმოჩნდებიან. სხვათა შორის, აკადემიას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სპონსორობა ცალმხრივი არ იყოს.

მესმის, რომ საქართველოს უჭირს, უჭირს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად, ზნეობრივად, მაგრამ, ღმერთმა ნუ ქნას, საზოგადოებაში ამოქმედდეს ქართველი ერის ბუნებისთვის უცხო კანონი დიდი რიცხვებისა, რომლის ძალითაც ცალკეული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ტრაგედია აღარ აღიქმება როგორც ანომალია, გამონაკლისი, არ იწვევს პროტესტს და არ ბადებს მხარში ამოდგომის და შეშველების სურვილს.

დღეს აკადემიის კოლექტივი სწორედ ადამიანთა იმ ჯგუფად მიმაჩნია, რომელიც საჭიროებს შველას, ღონიერი ხელის გაწვდენას და არა წყალწაღებულისთვის ხავსის გადაგდებას; შველას დაუყოვნებლივ, შეუგვიანებლად! გავიხსენოთ უნგრელი ეკონომისტის ი. კორნაის მიერ შემუშავებული ფორმულა, რომელიც დეფიციტისთვის არის ნიშანდობლივი: გადავადება — ხანძრის ჩაქრობა — გადავადება. ამ ფორმულის მიხედვით სახელმწიფო მაშინ შეშფოთდება და გამოიღებს ხელს, როცა ხანძარი უკვე ბობოქრობს, მანამდე დახმარების გადავადების პოლიტიკას მიმართავს. მაგრამ გადავადება ხომ სიტუაციას უკიდურესად ამძაფრებს და ცეცხლმიახლოებული დენთის კასრის ეფექტი იწყებს მოქმედებას.

გრძნობებმა რომ არ გადამძლიოს, ფაქტებსა და ციფრებს მოვიშველიებ. ამჟამად აკადემიის სამ ფაკულტეტზე 1170 სტუდენტი სწავლობს (ახლა იმაზე არ არის საუბარი, სჭირდება თუ არა ქვეყანას ამდენი მხატვარი, ფაქტობრივ მდგომარეობაზე მოგახსენებთ). გარდა ამისა, აკადემია მხოლოდ სახვითი ხელოვნების ოსტატებს არ აკვალიანებს, აქ ყალიბდებიან არქიტექტურისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების თითქმის ყველა პროფილის სპეციალისტები, რომელნიც ესოდენ საჭირონი იქნებიან მომავალი საქართველოს არა მარტო სულიერი ცხოვრებისა, არამედ ეკონომიკისთვისაც. და მერე, ვინ იცის, რამდენი მხატვარი უნდა მოდიოდეს „ერთ სულ მოსახლეზე“; ცნობილი რეჟისორი და მხატვარი ნ. აკიმოვი ბრძანებდა: „შედევრების (ვიგულისხმოთ ტალანტები. თ. ფ.) დაგეგმვა იგივეა, უწინარეს მემუარები დაწერო და შემდეგ მისი მიხედვით იცხოვრო“!). მაშ ასე, აკადემიაში 1170 სტუდენტი სწავლობს, თითოეულ სტუდენტზე ნორმით საშუალოდ 30 კვ.მ. საერთო ფართი უნდა მოდიოდეს. ამ ნორმის გათვალისწინებით აკადემიას სჭირდება 35 100 კვ.მ., ფლობს კი 14 ათასს, ე.ი. ნორმაზე ორნახევარჯერ ნაკლებს!

აღარაფერს ვამბობ ექვსასზე მეტ თანამშრომელზე, იმაზე, რომ დეკანატები და კათედრები ისეთ სენაკებშია შეყუჟული, მიკროსხდომების ჩატარებაც არ ხერხდება, ხოლო ზოგიერთ კათედრას ოთახი საერთოდ არა აქვს. იძულებული გავხდით სათავსოებიც კი სამუშაო ოთახებად გადაგვეკეთებია! და განა ეს გასაკვირია — აკადემიას ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე არცერთი მეტრი ფართობი არ მომატებია, კონტინგენტი კი თითქმის ორჯერ გაიზარდა! ალბათ ამ სავალალო ფაქტის მოტანის შემდეგ სიტყვის გაგრძელებაც არ იქნებოდა საჭირო, აკადემიაში სასწავლო პროცესის რამდენიმე თავისებურების აღნიშვნა რომ არ იყოს აუცილებელი.

დავიწყოთ იმით, რომ სამხატვრო სასწავლებელში გამორიცხულია ცვლებით მეცადინეობა — აუდიტორია ჯგუფს მთელი წლის განმავლობაში უკავია (იდეალში — სწავლის მთელ პერიოდში). იქვე აქვთ სტუდენტებს გაშლილი სასწავლო ინვენტარი და მასალა (მოლბერტები, ტუმბოები, დაზგები, დგამები და ა. შ.), აქ ატარებენ ისინი ფაქტობრივად მთელ დღეს. ესაა ელემენტარული მოთხოვნილება, რომლის გარეშე სასწავლო პროცესის ნორმალურ წარმართვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. დავუმატოთ ისიც, რომ ჩვენი სტუდენტების კვირეული დატვირთვა დიდად აღემატება სხვა უმაღლესი სასწავლებლებისათვის გათვალისწინებულ ნორმებს და 52-54 საათს აღწევს. ცხადია, საუბარია იმ სტუდენტებზე, რომელთაც ნამდვილად უნდათ ცოდნისა და ოსტატობის შეძენა და არა იმათზე, მხოლოდ დიპლომისთვის ან პრესტიჟისთვის რომ არიან შემოსულნი სასწავლებელში. სამწუხაროდ, არც ასეთები გვაკლია. ამგვარი დატვირთვა იმას ნიშნავს, რომ სტუდენტი აკადემიაში დღეში 9 საათს ატარებს, ამიტომ მას სათანადო პირობებიც უნდა ჰქონდეს შექმნილი. აუდიტორიებს რომ თავი დავანებოთ, რა პირობებზე შეიძლება საუბარი, როდესაც, ვთქვათ, ჩვენს სასადილოში 50 ადგილია 600-ის ნაცვლად! მე აღარაფერს ვამბობ მწირ ასორტიმენტზე, ამას ყველანი შეჩვეულნი ვართ.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა შარშანდელი მისაღები გამოცდების შემდეგ ჩატარებულმა აქციამ, რომლის ძალითაც რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა ოდენობამ დიდად გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებულს. მე ახლა ბაზების უქონლობას ვუსვამ ხაზს და არა ამ აქციის სხვა წახნაგებს. გავიხსენოთ, რომ საზოგადოების ინტელექტუალური მაჩვენებელი განიზომება „იუნესკოს“ შკალით, რომლის კლასიფიკაციით სსრკ 39-ე ადგილზეა სტუდენტთა რაოდენობით 10 ათას ადამიანზე. ჩვენ სტუდენტთა მოჭარბებაზე ვსაუბრობთ გამუდმებით და არ ვითვალისწინებთ, რომ ამ შკალით 1988 წლის საკავშირო მაჩვენებელი იყო 177, საქართველოსი — 161! სტუდენტთა რაოდენობისგან კი არ უნდა შევქმნათ ტრაგედია, უნდა ვიფიქროთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფაზე, იმ პირობების შექმნაზე, რომელიც ახალგაზრდა სპეციალისტებს შეუწყობს ხელს მათი კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმებაში.

არც მანამდე ულხინდა აკადემიას, შარშანდელმა აქციამ კი გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგვაყენა — ღია ცის ქვეშ დარჩა ათეულობით სტუდენტი. მოგვიწია სპორტული დარბაზის ფაქტობრივად გაუქმება, რაც ყოვლად დაუშვებელია (ფიზკულტურის გაკვეთილებიდან სექციურ მუშაობაზე გადავედით. საკითხავია, როდემდე?); შეგვაშველეს ხელი გეოლოგიის ინსტიტუტმა (პროფ. შ. ადამია), ტექნიკური ესთეტიკის ინსტიტუტმა (დოც. გ. ნადარეიშვილი); პირადი სახელოსნო შემოგვთავაზა ზოგიერთმა კოლეგამ (მაგ. არქიტექტორი პროფ. გ. ბათიაშვილი) და სხვ. კერძო ბინებიც კი ვიქირავეთ მშობელთა ხელშეწყობით, რომ როგორმე მოსამზადებელი ჯგუფები მაინც განგვეთავსებინა.

სამხატვრო სასწავლებლების მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ სპეციალურ დისციპლინებში ნორმით ჯგუფი დაკომპლექტებული უნდა იყოს 4-5 სტუდენტით. ჩვენთან შედარებით მოზრდილ აუდიტორიებში 3-4 ჯგუფი ერთად მეცადინეობს!

ახლა მიბრძანეთ, ასეთ პირობებში რომელ გამართულ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე, რომელ დახვეწილ მეთოდიკაზე, რომელ დისციპლინაზე შეიძლება იყოს საუბარი? ყველა ამ „სიკეთესთან“ ერთად ძველი შენობა მთლიანად ამორტიზირებულია. იგი სასწრაფოდ თუ არ გარემონტდა კაპიტალურად, აკადემია კვლავ დარჩება საგამოფენო დარბაზების გარეშე, რომელთა ექსპოზიცია ამ ათიოდე წლის წინ შინაური თუ უცხო სტუმრების აღტაცებას იწვევდა. სტუმრებს თავი დავანებოთ, გამოფენებს უპირველეს ყოვლისა მეთოდური დანიშნულება აქვთ; განა შეიძლება არსებობდეს სამხატვრო სასწავლებელი საგამოფენო დარბაზისა და მუზეუმის გარეშე, სასწავლებელი, რომელიც 1992 წელს არსებობის 70 წელს მოითვლის, სასწავლებელი, რომელშიც მოღვაწეობდნენ გამოჩენილი დიდოსტატები და რომელშიც სახელგანთქმული ქართველი მხატვრების თაობები აღიზარდა. რაღა სიტყვა გავაგრძელო, საკმარისია აკადემიის ფასადს შეხედოთ გრიბოედოვის ქუჩის მხრიდან, ნათელი წარმოდგენა შეგექმნებათ მისი მდგომარეობის შესახებ. ისიც არ დავივიწყოთ, რომ შენობა არქიტექტურისა და ისტორიის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი!

აუტანელ მდგომარეობაშია ბიბლიოთეკა, რომელშიც არაერთი უნიკალური წიგნი და ალბომი ინახება და მათი გადარჩენის პრობლემაც დგას. ბიბლიოთეკის მდიდარი ფონდებით სარგებლობა დღეს-დღეობით ფაქტობრივად შეუძლებელია.

სივიწროვეს და არსებული შენობის ავარიულ მდგომარეობას ემატება ისიც, რომ აკადემია მინიმალურადაც კი არ არის უზრუნველყოფილი სასწავლო ინვენტარითა და მასალით. სტუდენტებს ვერ უზრუნველყოფთ თაბაშირით, საღებავებით, ფუნჯებით, ტილოთი, ხის მასალით, ლითონით, ქვებით და სხვ., რაც ჰაერივით სჭირდება ცხრამეტი სპეციალობის ათასზე მეტ სტუდენტს. ახალგაზრდები, უფრო სწორად მათი მშობლები, იძულებულნი არიან თავისი სახსრებით და შანსებით იშოვონ ეს ყველაფერი. როდემდის!

ხელმძღვანელმა ორგანოებმა ბოლოს და ბოლოს უნდა აღიქვან, რომ მოთხოვნილებისა და მომარაგების თვალსაზრისით სამხატვრო სასწავლებელი წარმოებას უახლოვდება (ცხადია, თვისებრივად და არა რაოდენობრივად). მოგახსენებათ, მასალის გარეშე წარმოება წყვეტს მუშაობას...

აღარაფერს ვამბობ ისეთ „წვრილმანებზე“, როგორიცაა, ვთქვათ, გათბობა, რაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება წლების მანძილზე, სამხატვრო სასწავლებელს ავტონომიური გათბობა სჭირდება, რომელიც ქალაქის ქსელზე არ იქნება დამოკიდებული. წარმოიდგინეთ, ნოემბრის შუა რიცხვებამდე ან მარტის შემდეგ, როდესაც ცენტრალური გათბობა აღარაა, შიშველი მოდელი საათობით უნდა იდგეს, ისიც შექვეთილ პოზაში!

რომელი ერთი ჩამოვთვალო — წყალგამდინარე სახურავი თუ კბილებჩაცვენილი კიბეები, ჩაქცეული იატაკი თუ ბათქაშჩამოქცეული კედლები...

წერილში კატასტროფამდე მისულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე გავამახვილე ყურადღება, თორემ მისახედი და გადასაწყვეტი სხვაც მრავლადაა — დისციპლინის მდგომარეობა, სწავლების მეთოდიკა და ფორმები, სასწავლებლის სტრუქტურა, პედაგოგთა კვალიფიკაცია და ა. შ. ეს ყველაფერი ჩვენი კოლექტივის მოსაგვარებელია და მოგვარდება კიდეც, თუ გვეღირსა შესაფერისი ფართი, მოწყობილობა, დანადგარები, მასალა... ეს არის და ეს!

აკადემიაში ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქეები და სპეციალისტები იზრდებიან. მათზეა დამოკიდებული სამშობლოს მომავალი. აკადემიაში ახალგაზრდობის უმრავლესობა მოდის ხელოვნების, მშვენიერების, სინატიფის საზიარებლად. მათ შორის ტალანტებიც არიან, ტალანტებს კი წარმოჩენა და ხელის შეწყობა უნდა! ჩვენში, საბედნიეროდ, ერთადერთი რისი დეფიციტიც არ იგრძნობა, ეს ტალანტია, ხელოვნურად ნუ შევქმნით ამ დეფიციტს. დასავლეთის ქვეყნებში ერთიანი სისტემაა ჩამოყალიბებული ნიჭიერთა მეურვეობისა, ამ სიტყვის დადებითი გაგებით: ბავშვი — მოსწავლე — სტუდენტი — სპეციალისტი. ჩვენ, სამწუხაროდ, პირველადი მიახლოების დონეზე შემუშავებული კონცეფციაც კი არ გაგვაჩნია. თუმცა, ყველა კონცეფცია, კეთილი სურვილი თუ დადგენილება ლიტონ სიტყვად და ფარატინა ქაღალდად რჩება მყარი ბაზის გარეშე.

საბედნიეროდ, აკადემიას წარმატებებიც აქვს. საკმარისია აღვნიშნოთ სტუდენტთა თუ პედაგოგთა მიერ მოწყობილი გამოფენები ჩვენთან და უცხოეთში, მრავალი რესპუბლიკური, საკავშირო თუ საერთაშორისო დიპლომი და მედალი. აკადემიის კოლექტივი, სტუდენტობა და თანამშრომლები, უძნელეს პირობებშიც კი ახერხებენ ჩანაფიქრის მეტ-ნაკლებად ხორცშესხმას...

ასეთია დღეს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სადაგი დღეები და გასაჭირი. სხვათა შორის, დღეს-დღეობით საბჭოთა კავშირში ორი აკადემიაღა შემორჩა — ლატვიისა (ქ. რიგა) და თბილისის. სახელგანთქმულ და უძველეს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიასაც კი განათლებისა და კულტურის ჩინიანი მოხელეების მეცადინეობით ამ ორი ათეული წლის წინ ინსტიტუტი ეწოდა. სამოციან წლებში თბილისის აკადემიაზეც ჰქონდა ცენტრს თვალი დადგმული... ცენტრისა რა მოგახსენოთ, ვიცი რა სტუდენტთა და პედაგოგთა ერთი ნაწილის განწყობილება ყოველგვარი სოციოლოგიური კვლევის გარეშე, სამხატვრო აკადემია, უპირველესად უკიდურესად მძიმე მატერიალურ-ტექნიკური პირობების გამო, კრიზისის პირასაა მისული. მართვის თეორია ამტკიცებს, რომ თუ უკმაყოფილო ან კრიტიკულად განწყობილია 30 პროცენტი — ხდება სისტემის დეზორგანიზაცია, ასეთთა 50 პროცენტი კრიზისს და რღვევას იწვევს!..

Sepienti sat — გონიერისთვის საკმარისია!

P.S. მართალი გითხრათ, ამ წერილის ადრესატიც კი არ ვიცი...: ზემოთაც მოგახსენეთ, ყველა საქმის კურსშია, ვისაც კი ძალუძს პრაქტიკული დახმარება. ეს წერილი უფრო ჩიხში მოქცეული კაცის ღაღადისია და, ღმერთმა ნუ ქნას, იგი დარჩეს „უდაბნოსა შინა“!

თუ უახლოეს ხანებში მთავრობის დონეზე არ გადაწყდა სამხატვრო აკადემიისთვის შენობის გამოყოფისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძვლიანად გაუმჯობესების საკითხი, ისღა დამრჩენია ძველ რომაელთა წაბაძვით განვაცხადო რექტორობის ორი წლის თავზე: „მე გავაკეთე რაც შემეძლო, ვისაც შეუძლია გააკეთოს უკეთესად“!

**თენგიზ ფერაძე,**
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი.

# ...კვლა აქიმი აქიმობდეს

**მსოფლიოში** ძნელად მოიძებნება ისეთი ქვეყანა, ხალხური მედიცინის ისეთი მდიდარი ტრადიციები ჰქონდეს, როგორიც საქართველოს აქვს. ხალხური მედიცინის ეს ტრადიციები სათავეს უძველესი დროიდან იღებს. საქართველოს არაჩვეულებრივი ბუნებრივი პირობები, მრავალფეროვანი მცენარეული საფარი, საკურორტო და მინერალური რესურსების სიმრავლე ჩვენს ერს იდეალურ პირობებს უქმნიდა მედიკურ-ბიოლოგიური ცოდნის გაღრმავებისა და სრულყოფისათვის.

შუმერული და ხეთა-სუბარული სამყაროდან მითოლოგიით მოღწეული სამედიცინო ინფორმაცია საკვირველ ანალოგიებს ქმნის დღეს მოძიებულ ხალხური მედიცინის მეთოდებთან. უძველესი კოლხურ-იბერიული კულტურის შესახებ ლაპარაკისას სტრაბონსა და ჰეროდოტეს, არაბსა თუ სპარს მემატიანეებს არ ავიწყდებათ მოიხსენიონ ქართული მედიცინის მაღალი დონე, აქტიური სამკურნალო მცენარეებისა და მინერალური წყლების სასწაულმომქმედი სიკეთე.

როგორც ცნობილია, საქართველოზე გადიოდა მსოფლიოს უმთავრესი საქარავნო გზები, აქ იყრიდა თავს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაშრომ-ნააზრევი. ქართველი ხალხიც ითვისებდა, სათანადო პრიზმაში ატარებდა ნანახ-გაგონილს და საკუთარ ბალავერზე დააშენებდა. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა შუა საუკუნეების ქართულ სამედიცინო დამწერლობით ძეგლებში შემორჩენილი ფრაგმენტები, სადაც აბუ-ალი-იბნ-სინას თუ გალენის, აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის სხვა მოაზროვნეთაგან შემოქმედებითად ათვისებული მეცნიერულ-პრაქტიკული მიღწევების კვალი იგრძნობა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქართულ მხატვრულ წერილობით ძეგლებში, დაწყებული იაკობ ცურტაველის გენიალური ქმნილებით, ქართული სიტყვის დიდოსტატების მიერ ნებსით თუ უნებლიეთ გათქმული შესაბამისი ეპოქის ქართული მედიცინის მაღალი დონე, თვით მწერლის მედიკურ-ბიოლოგიური აზროვნების ფილოსოფიური სიღრმე და სიმწიფე. ეს ბუნებრივია, რადგან განათლების იმდროინდელ კერებში მედიცინა აუცილებელ დისციპლინათა შორის ისწავლებოდა. ბევრი დაიწერა რუსთაველსა და მედიცინაზე. ჩვენი ერის ამ უპირველეს წიგნში — საერო ბიბლიაში, მეცნიერების ამ დარგს შესაფერი ხვედრითი წონა აქვს და ჩვენ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ისტორია ვითარდებოდა თავის გზით. ქართველი ერისათვის იგი აგრერიგად ნაცნობი აღმართ-დაღმართით მიედინებოდა და ბუნებრივია მედიცინაც, როგორც საერთო კულტურის ერთი დარგი, იმავე გზას იმეორებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულებში გაბატონებულმა ტოტალიტარიზმმა, და იმ სისტემამ, რომელმაც ჩვენი ცხოვრების ყველა კუთხე-კუნჭულში შეაღწია და ყოველგვარი იდეოლოგიურად „მიზანშეუწონელი“ შებოჭა, დაამუხრუჭა, აბსოლუტურად ჰიპერტროფული სახე მიიღო. რისხვის ობიექტად იქცა ხალხური მედიცინაც, რომელსაც ძნელია მედიცინის დარგი უწოდო, ვინაიდან იგი უფრო მშობელია კლასიკური მედიცინისა, მისი საფუძველი და უმდიდრესი საგანძურია.

ამ მხრივ ვერც ცივილიზებულმა დასავლეთმა გამოიჩინა თავი. მისასალმებელია, რომ ახლა დადებითი ძვრები ნაპირის ორივე მხარეს შეინიშნება, რაც ძირითადად სინთეზური პრეპარატების გამოყენებით წარმოშობილმა უამრავმა გართულებამ (დაავადებამ!) და ეკოლოგიური პრობლემებისადმი ყურადღების გამახვილებამ გამოიწვია.

დღეს შეუძლებელია განისაზღვროს ის ისტორიული მომენტი, ალბათ ეპოქაც როდესაც საბოლოოდ გაიმიჯნა ხალხური და კლასიკური მედიცინა. შეუძლებელია იმიტომ, რომ ეს კავშირი მთლიანად მაინც არასოდეს გაწყვეტილა.

ურთულესი ტექნოლოგიით აღჭურვილმა თანამედროვე უძლიერესმა ფირმებმა ვერაფერი პრინციპული დაუპირისპირეს ბალახიდან შექმნილ პრეპარატებს. ერთი საქვეყნოდ ცნობილი თერაპევტი წერდა, რომ იგი ბედნიერია არჩეული პროფესიით, რადგან არსებობს სათითურას პრეპარატები.

თანამედროვე კლინიცისტები დაგვეთანხმებიან ალბათ, რომ მრავალი მცენარეული წარმოშობის წამალი დღესაც შეუცვლელია თავისი მოქმედების სიძლიერის, გვერდითი მოვლენების სიმცირის (ან არარსებობის) და ადეკვატური მოქმედების გამო.

ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმში ხუთასამდე (!) სამედიცინო ხასიათის ხელნაწერია დაცული. აქ არის საქვეყნოდ ცნობილი კარაბადინები — სამკურნალო წიგნები: ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისა, ქანანელისა, ხოჯა-ყოფილისა, დავით ბატონიშვილისა და სხვადასხვა, მეტად თუ ნაკლებად ცნობილ-შესწავლილი ძეგლები ჩვენი ხალხის მედიკო-ბიოლოგიური აზროვნებისა. მაგრამ ამჯერად გვინდა ყურადღება სხვა მომენტზე გავამახვილოთ და ერთი საინტერესო (არცთუ უცნობი) პარალელი შემოგთავაზოთ. ამ მუზეუმში მოთავსებულია კიდევ ერთი სიმდიდრე: პროფ. მიხეილ შენგელიას თაოსნობით თითქმის 30 წლის განმავლობაში ეწყობოდა ექსპედიციები საქართველოს ყველა ეთნოგრაფიულ კუთხეში ხალხური მედიცინის ნიმუშების შეგროვების მიზნით, დაგროვილი და სისტემატიზებულია უზარმაზარი მასალა. დაინტერესებული მკითხველი თუ სპეციალისტი აუცილებლად შეამჩნევს, რომ ძველი ქართული კლასიკური მედიცინის ძეგლებსა და ხალხური მედიცინის მოპოვებულ მასალაში ბევრი რამ საერთოა. ოღონდ ეგ არის, იმ აქიმსა და ბრძენს, რომელსაც ნააზრევი ქაღალდზე გადაუტანია, აზრიც შესაფერისად აქვს ფორმირებული და წამალთდამზადების რეცეპტიც უნიფიცირებული.

საკითხავია ვინ ვისგან ისარგებლა?

ჩვენის აზრით ამის დადგენა შეუძლებელია და უსარგებლოც. აქ მთავარია ურთიერთკავშირი: ურთიერთსასარგებლო ურთიერთკავშირი.

დღეს ეს კავშირი პროფესიულ მედიცინასა და ხალხურ მედიცინას შორის მთლად გაწყვეტილი თუ არა, ფრიად შესუსტებული მაინც არის.

ათწლეულების განმავლობაში ხალხური მედიცინის შესწავლა ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის ინტერესების სფეროს არ სცილდებოდა. კლინიკო-ექსპერიმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევა მოპოვებული მასალისა თითქმის არ ხდებოდა, ან არასაკმარისი ინტენსივობით ხდებოდა, დღეს ალბათ დადგა დრო, რომ იმდენად ავმაღლდეთ ინტელექტუალურად, რომ ხალხურ მედიცინას უფრო ყურადღებით მოვეკიდოთ.

პროფესიულმა მედიცინამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს იმ მკურნალებს, ვისაც ხალხში სახელი აქვს გავარდნილი და პაციენტი არ აკლდება. აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ცუდლუტი და ყალთაბანდი არ მოგვაკლდება, მაგრამ ჭეშმარიტ პროფესიონალებს ამისი არ უნდა შეეშინდეთ. ხალხური მკურნალის სახელით სპეკულაცია არავის არ უნდა ეპატიოს. იმ ჯიუტებთანაც შეიძლება საერთო ენის გამონახვა, ვისაც არ სურს მამა-პაპური საიდუმლოს გამჟღავნება. რეცეპტურა, რომელიც ზემოაღნიშნულ სამედიცინო ძეგლებში და ექსპედიციებში მოპოვებულ მასალაშია, მრავალ კვლევით ინსტიტუტს გაუჩენს საქმეს.

ეს კი მომავლის საქმეა, ოღონდ ახლო მომავლისა.

დღეს კი, თვით სახელმწიფო ფარმაკოპეაში ორასზე მეტი სამკურნალო ბალახია, მაგრამ მათი წარმოება მცირეა, ტექნოლოგია — შეზღუდული. ამ ბოლო ხანებში საქართველოში ხალხური მედიცინის ასოციაცია შეიქმნა, რომელიც მოწოდებულია ამ მიმართულებით სამეცნიერო საქმიანობას გაუწიოს ხელმძღვანელობა. ამ საქმით დაინტერესდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. და მაინც, ეტყობა მეტი ერთობლივი ძალისხმევა, მუშაობის მეტად გაშლაა საჭირო, რომ ამ დიდ და საშურ საქმეს კვლავ მონდომებით შევუტიოთ, ერთის გაკეთებით მეორე არ გავაფუჭოთ და ხალხს მართლა სარგებლობა მოვუტანოთ. ამ დარგის განვითარება ყველა სხვა სიკეთესთან ერთად რესპუბლიკის ეკონომიკასაც წაადგება. ცნობილია, თუ რა დაინტერესებაა საზღვარგარეთ მწვანე პროდუქციით. საქმის გონივრული წარმართვით შეიძლება აგრერიგად ნანატრი სავალუტო შემოსავლის მიღება.

ჩვენი აზრით, საჭიროა სწორ მეცნიერულ პოზიციაზე დაფუძნებული, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი საწარმოების, ანდა საწარმოო გაერთიანების შექმნა, რომელსაც ერთიანი სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭო უხელმძღვანელებს. ასეთი სამეცნიერო კერის შექმნას დიდი სირთულე არ ეღობება. იგი ფაქტობრივად არსებული სამეცნიერო დაწესებულებების ბაზაზე უნდა შეიქმნას.

ამ ცენტრში მუშაობა ორი მხრით უნდა გაიშალოს: პირველი, არსებული, ფარმაკოპეულად დამტკიცებულ ბალახეულ პრეპარატთა მოყვანა და დამზადება, ხალხისათვის მათი სათანადო ინსტრუქციებითა და სპეციალიზებული აფთიაქებით მიწოდება. მეორე, ზემოაღნიშნული ექსპედიციებით მოპოვებული და კლასიკურ ქართულ სამედიცინო ძეგლებში ფიქსირებული რეცეპტების გაშიფვრა, ლაბორატორიული გამოკვლევა, ექსპერიმენტული გამოცდა და კლინიკებში აპრობაცია.

ხალხური მედიცინა ხალხის სამსახურში უნდა ჩადგეს.

**რამაზ შენგელია,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;

**ვახტანგ მოსიძე,**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

# სამოთხის მცენარესავით!



**ქართველი** მხატვრის, ვლადიმერ კანდელაკის გამოფენაზე ვარ... ბედნიერება ცით მოსულ ნათელსა ჰგავს, ჩაგიდგება სხეულში და ჰყვავის სამოთხის მცენარესავით.

როცა პირველად იტალიაში დიდი მხატვრის სანდრო ბოტიჩელის ნიჟარაში ჩამდგარი ვენერა ვნახე, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა, და სწორედ ის ცით მოსული ნათელი ალამაზებდა „ვენერას დაბადებას", რომელსაც ცაში და ზღვაში უთრთის სხეული...

ბედნიერება ბედნიერებაა...

ვლადიმერ კანდელაკს პირველად 1971 წელს შევხვდი „მერანის" საგამოფენო დარბაზში, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრგზის გამოფინა თავისი ნამუშევრები, ჩვენშიც და რუსეთშიც, საზღვარგარეთაც...

მე ყოველთვის განსაკუთრებით მომწონდა კანდელაკის ქართული რიკულებიდან და ქართული ციხე-კოშკებიდან დანახული საქართველო, დიახ, ქართული სულითა და ენერგიით ნაგებ კოშკებს ქართველი მხატვრის ხელი სჭირდებოდა, სხვანაირად მე პირადად ვერ წარმომიდგენია...

მშვენიერების გამო გამახსენდა ბოტიჩელის „ვენერა", აი, მე ვდგავარ გალიაში გამომწყვდეულ მშვენიერებასთან — „ფარშევანგთან"...

ერთ, ჩემ მეგობერს ასეთი ლექსი აქვს:

„ზოგისთვის თოვლი მხოლოდ თოვლია, ზოგისთვის თოვლი მოდის და მღერის".

ვისთვისაც „თოვლი მხოლოდ თოვლია", მას ხელოვნება არ შეიძლება ესმოდეს, მაგრამ ვისთვისაც „თოვლი მოდის და მღერის", ის მშვენიერების გამგებია. ამ დამოკიდებულებით ვაფასებ მე კანდელაკის „ფარშევანგს". მშვენიერია აზრი ამ სურათისა, მშვენიერია მისი შესრულების მანერა. ვუყურებ და ვგრძნობ, რა შეუძლია დიქტატორს, რა შეუძლია ბოროტებას, როგორ შეიძლება გალიაში გამოამწყვდიო მშვენიერება, რომლითაც ქვეყანა უნდა ტკბებოდეს. ამ „ფარშევანგის" დამხატველი კაცი, სამშობლოდან შორს წასული ტალანტია და არა უცხოეთიდან შემოსული საკუთარ სამშობლოში და მერე თავს მოხვეული, როგორც ხშირად ხდება ხოლმე.

ვლადიმერ კანდელაკმა კარგად იცის ფასი დიდი აკაკის ძვირფასი ლექსისა:

„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა".

მშვენიერების გამო ღირს ამქვეყნად ცხოვრება, ამის მტკიცებაა მისი ამასწინანდელი შესანიშნავი გამოფენა... ადგილად ითქმის: „ბოროტსა სძლია კეთილმა", კი, სძლია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სიკეთეს ემსახურები.

ვლადიმერ კანდელაკი რამდენიმე თვით თავისი გამოფენით ამერიკაშია მიწვეული. მშვიდობის გზა ნუ მოუშალოს ღმერთმა

**ჯანსუღ ჩარკვიანი.**



# „წყალნი წავლენ და წამოვლენ..."

**ათეულ** საუკუნეთა სიღრმეში დანაწური, დაწმენდილი და ანკარად მომდინარე ხალხური შემოქმედება, ეს იქნება პოეზია, მუსიკა, თუ ქორეოგრაფია, ერის სულიერი და ემოციური, აზროვნული და ფსიქოლოგიური უნიკალურობის სარკეა. იგი უტყუარი და სარწმუნოა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ისეთ მხატვრულად სრულყოფილ ფენომენს, როგორიც ქართული ხალხური შემოქმედებაა.

დახვეწილი არტისტიზმი, რაინდული კეთილშობილება, ირონიით შეფერილი ღრმა ფილოსოფიური ჭვრეტა, პოეტურად ამაღლებული სისადავე, მოკრძალება, ამაყი თავდაჭერილობა, ვაჟკაცური შემართება, აზროვნების სისხარტე და მოქნილობა, — აი ის სპექტრი თვისებებისა, რომლებიც ქართველი ერის ბუნებიდან მომდინარეობს და სრულყოფილი მხატვრული ფორმით ვლინდება ჩვენი ხალხის შემოქმედებაში.

სკულპტურულად გამოძერწილი, მკაფიო ფორმებით ჩამოქნილი პოლიფონიური მრავალხმიანობა შეეძლო შეექმნა მხოლოდ იმ ხალხს, რომლის წიაღშიც სუფევს ურთიერთგაგებისა და გატანის სულისკვეთება, ერთსულოვნებისა და მტკიცე მხარდაჭერის განწყობილება.

ცეკვა „ქართულში", პლასტიკური ფორმებით გარდაისახა ის რაინდული დამოკიდებულება მამაკაცისა ქალის მიმართ, რომელიც დამკვიდრებულია ჩვენში.

ქართველმა კაცმა ლექსად ამეტყველა საკუთარი გულისნადები და უმღერა მეგობრობას, სიყვარულს, ურთიერთპატივისცემას.

გავიხსენოთ, რა ვაჟკაცური თავდაჭერილობით არის გადმოცემული დიდი ტრაგიკული განცდა და ტკივილი სვანურ „ზარსა" თუ სხვადასხვა დატირებაში.

ჩამოთვლილი რამდენიმე მაგალითიც კი ნათელყოფს იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ საუკუნეებში გამოვლილი ხალხური შემოქმედება, უტყუარი და სარწმუნო ამსახველია ერის ბუნებისა, მისი თვისებებისა და სრულიად მოკლებულია სიყალბესა და სიცრუეს. ამის დასტურია ერის ცხოვრება, რომელიც ჩვენი ისტორიული თვალსაწიერის არეშია მოხვედრილი.

ცხოვრების დინამიკა, ხან გამძაფრებული, ხან კი მდორედ მიმდინარე, უცვლელად, უძრავად არაფერს ტოვებს. შინაგან თუ გარეშე ძალთა შეხლა-შემოხლით ყალიბდება ახალი ურთიერთობანი, ახალი პირობები არსებობისა. ეს კი მოითხოვს ხან შემგუებლობას, ხან კი ძალთა მძლავრ დარაზმვას წინააღმდეგობათა გადასალახავად.

ქართველმა ხალხმა სინამდვილესთან ასეთ განუწყვეტელ პაექრობაში გაატარა საუკუნეები და მიუხედავად მცირერიცხოვნებისა დღემდე მოიტანა თავი. ამის მთავარი საწინდარი იყო ის სრულიად განუმეორებელი, თავისთავადი და მძლავრი ეროვნული ნიშანი, რომელიც ხალხს ახასიათებდა და სულიერი ღვწით შექმნილი მხატვრულ ნიმუშებში აისახა.

ქართველ ხალხს ყოველთვის უხდებოდა პირისპირ შებმა მტერთან, მაგრამ ეს ორასი წელია აშკარა მტრები ჩამოგვცილდნენ და ყველაზე ცბიერ, ყველაზე ვერაგ, მეგობრის ნიღაბს ამოფარებულ ძალასთან გვაქვს საქმე, რომელიც, მართალია, არც სიკეთის კეთებას არიდებს თავს, მაგრამ ამავე დროს მეთოდურად მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც ერის სულიერ დეფორმაციას, გადაგვარებას, გადაჯიშებას იწვევს. თუმცა, ეს არცთუ ისე იოლად გასაკეთებელი გამოდგა, ვინაიდან ჩვენი გენეტიკური ფესვი მძლავრ საფუძვლიდან არის აღმოცენებული. მაგრამ ამ ჭიდილს უდანაკარგოდ არ ჩაუვლია, რამაც განსაკუთრებით რელიეფურად იჩინა თავი დღეს.

შეუთავსებელი მოვლენების მოწმენი ვართ. ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებისა და აღზევების ეპოქაში, თავი იჩინა ყოვლად შეუწყნარებელმა გამოვლინებებმაც. პოეტურად ამაღლებული სისადავე დათრგუნა პროვინციულმა გაპრანჭულობამ, მოკრძალება და ამაყი თავდაჭერილობა — გაუტანლობამ და სისასტიკემ, რაინდული კეთილშობილება — ეგოიზმმა. გადახედეთ საზოგადოებას და დაინახავთ, თუ ჩვენს შორის რამდენია ბატონკაცური ამპარტავნობით შეპყრობილი, გაბღენძილი პიროვნება, რომელსაც ჰგონია, მხოლოდ ჩემით იწყება და მთავრდება ცხოვრება. ზოგი დანით თუ დამბაჩით შეიარაღებული, ზოგიც კი კალმის ბასრი წვეტით მომარჯვებული დაუნდობლად ებრძვის თავის მოყვასს, თვისტომს.

ჩვენი ხალხის მომავალი კეთილდღეობისათვის ზრუნვით წამოწყებულ არაერთ კეთილშობილურ და სასარგებლო საქმესაც კი თან სდევს ისეთი გამოვლინებები, რომლებიც ვერ თავსდება ვერავითარი ეთიკური და ზნეობრივი ნორმების ფარგლებში.

რა უნდა იყოს იმაზე უფრო დიდი და კეთილშობილური, ვიდრე განზრახვა, იზრუნო ქართული ენის სიწმინდისათვის, მაგრამ განა ამისთვის აუცილებელია შეურაცხყო და ცილი დასწამო ისეთ ღვაწლმოსილ ადამიანებს, როგორნიც იყვნენ გ. ჩუბინაშვილი და კ. მარჯანიშვილი, ან როგორიც ქართული მუსიკალური კულტურისათვის თავგადადებული ლ. ისაკაძეა?

უდავოა, თეატრებისა და მუსიკალური კოლექტივების მთავარი საზრუნავი ეროვნული რეპერტუარი უნდა იყოს, მაგრამ განა მართებულია, რომ ეს კანონიერი მოთხოვნილება ბოროტად, ცალმხრივად გამოიყენო და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადო რეჟისორ რ. სტურუასა და დირიჟორ ჯ. კახიძეს, საეჭვო გახადო მათი საქმიანობა, ნიჭიერებაც კი, მაშინ, როდესაც ამ ოსტატების შემოქმედების ძირითადი ამომავალი ნაკადი, მშობლიური კულტურის წიაღიდან მომდინარეობს და მის აღზევებას ემსახურება.

აქ სანიმუშოდ რამდენიმე გვარის დასახელება მომიხდა და ვიფიქრე, რომ ყოველი მათგანი ხომ ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის კულტურას დაამშვენებდა, ჩვენ კი რა გვემართება?!

თავის დროზე კ. მარჯანიშვილი საქართველოდან გააძევეს, ზოგიერთი კი, სამშობლოში სილაგაწხული, იძულებულია საკუთარი ნიჭის დაფასება და აღიარება უცხო ხალხში პოვოს და ასე მოითქვას სული.

დიდი ნიჭიერებით დაჯილდოებულ ადამიანებს თავისებური, ხშირად ძნელად შესაგუებელი თვისებებიც ახასიათებთ. ისინი არც შეცდომებისაგან არიან დაზღვეულნი, მაგრამ განა შეიძლება შურისძიების საგნად იქცეს ხასიათის ზოგიერთი თავისებურება ან ცალკეული შეცდომა?

აღდგა დავიწყებას მიცემული ძირძველი ქართული სიტყვები: მიმტევებლობა, გულმოწყალება, მონანიება, მაგრამ ჯერჯერობით ისინი მხოლოდ სიტყვებად გვესმის და მოკლებულია ისეთი მცნებების მნიშვნელობას, რომელთა მიღმაც კონკრეტული მოქმედება იგულისხმება.

თუ მომავალი თაობები დღევანდელ დღეზე პრესაში გამოქვეყნებული ზოგიერთი პუბლიკაციის მიხედვით იმსჯელებენ, ალბათ იფიქრებენ: ეს რა ბოღმიანი და გულღვარძლიანი წინაპრები გვყოლიაო!

საბედნიეროდ ცხოვრების მარადიული კანონი ღაღადებს, რომ „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო", „სანთელსაკმეველი თავის გზას არ დაკარგავს" და ის კარგი „საქმენნი ჩვენნი", რომლებიც დღეს წარმოჩინდება, იმის საფუძველს იძლევა, რომ მომავალს პირნათლად შევხედოთ.

**სულხან ნასიძე.**



ხმა ამოიღე, ფანდურო!.. თენგიზ ფურცხვანიძის ფოტო.

**დღევანდელ** ძნელბედობის ხანაში, როცა სიმართლე სანთლით საძებარი ხდება, როდესაც რწმენას ცრუმორწმუნეობა ცვლის, ხოლო ამ უკანასკნელს — ურწმუნოება, ადამიანის სრულ გაუცხოებას ისევ მის ბუნებაში ჩამარხული სიკეთის თესლი უშლის ხელს, ხელოვნების შედევრებით გაღვივებული და გაცოცხლებული. ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ქმნილებებს, რომელთა იმედითაც ფ. დოსტოევსკის სიტყვით რომ ვთქვათ, ადამიანი წარდგება უკანასკნელ სამსჯავროზე: „დონ-კიხოტიც" და „ჰამლეტიც" ხომ ადამიანის შექმნილია, ხომ ადამიანსვე ეკუთვნის სიტყვები — „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია"!

სწორედ ამიტომ ძნელბედობის ხანაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთ ქმნილებებთან ხელახალი ზიარება. არ ვაპირებ რევაზ ჩხეიძის ახალი კინოსერიალის რეცენზირებას, ეს ჩემი საქმე არ არის, კინომცოდნენი, ალბათ, იტყვიან თავიანთ სიტყვას, მხოლოდ არ შემიძლია არ გაგიზიაროთ განცდა, რომელსაც ჩემში იწვევს თავშეუკავებელი ხარხარი, თითქმის ყოველი სერიის ბოლოს რომ გაისმის ეკრანიდან, რომელზედაც ერთმანეთში ათქვეფილი ადამიანების უსახო მასა მოჩანს. ეს ბრწყინვალე რეჟისორული მიგნება გახლავთ, რომელიც მაყურებელს განაწყობს იმ საცოდავი და გალახული სიკეთის დასაცავად, მწუხარე სახის რაინდს სიცოცხლის მიზნად რომ გაუხდია. რა თქმა უნდა, სერვანტესს დახმარება არ სჭირდება.

„დონ-კიხოტი" ლიტერატურული ნაწარმოებია, მაგრამ თუ იგი „ითარგმნება" ხელოვნების სხვა დარგთა ენაზე — მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი ხელოვნების თუ კინემატოგრაფის ენაზე, ეს იმიტომ ხდება, რომ თვით ამ საოცარ ქმნილებაშია მოცემული ამის შესაძლებლობა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მწუხარე სახის რაინდის თემაზე, თუ არ ვცდები, თორმეტი მარტო ბალეტია შექმნილი. რეჟისორ რევაზ ჩხეიძესთან ერთად დამდგმელი ოპერატორის ლომერ ახვლედიანის, მხატვრის ფარნაოზ ლაპიაშვილის, კომპოზიტორ გია ყანჩელის, ბალეტმეისტერ გოგი ალექსიძის და ფილმის სხვა შემქმნელთა დამსახურებაა, რომ მასში ასე ორგანულად არის შერწყმული მუსიკა, მხატვრობა, ბალეტი, პანტომიმა, ბუფონადა.

ალბათ, ბევრი დაიწერება შესანიშნავ შემსრულებლებზე, განსაკუთრებით — კახი კავსაძეზე და მამუკა კიკალეიშვილზე. და მაინც მთავარი, რამაც ჩემი აზრით, განაპირობა ფილმის მნიშვნელობა, არის ხაზგასმა მწუხარე სახის რაინდის მარადიულობის, მისი უკვდავების. ეს არაერთგზის არის ნაჩვენები — მაშინ, როდესაც მსახიობები კახი კავსაძე და მამუკა კიკალეიშვილი თავიანთი გმირების სახის გახსნაზე ფიქრობენ და ეს „ლაბორატორიული სამუშაო" თვით ფილმის სიუჟეტშია ჩასმული და მაშინაც, როცა შუა საუკუნეების ესპანეთში მოულოდნელად ულტრათანამედროვე ლიმუზინები გაიქროლებენ, მაშინაც, როდესაც მწუხარე სახის რაინდი და მისი საჭურველმტვირთველი „დაჩაგრულ პრინცესას" მადრიდის მოედანზე ხვდებიან, სადაც დონ-კიხოტისა და სანჩო-პანსას დიდებული ქანდაკება დგას და ეს სავსებით ბუნებრივად მიაჩნიათ კავსაძე-დონკიხოტს და სანჩო-კიკალეიშვილს. არაფერი ამის მსგავსი, ცხადია, სერვანტესს ფიქრად არ მოსვლია, მაგრამ მან მისცა საშუალება ასე „წაეკითხათ" ოთხი საუკუნის შემდეგ მისი წიგნი ფილმის რეჟისორს და მასთან ერთად სცენარისტებს — სულიკო ჟღენტს და მარსიალ სუარესს.

ყველაზე ბედნიერ რეჟისორულ მიგნებად მე მაინც ბოლო ეპიზოდი მიმაჩნია. დაიფერფლა მგზნებარე რაინდი, ისიც ადამიანია. სიცოცხლის ბოლო წუთებში მიხვდა, რომ მას სიკეთე ადამიანებისთვის ვერ მოუტანია და როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, მოინანია შეცდომები და უდრტვინველად მიაბარა სული უფალს. რაღა დარჩა სათქმელი? „ამაოებათა ამაოება, ყოველივე ამაო?" ფილმის ავტორები ვერ შეურიგდნენ ასეთ დასასრულს, მათ ხომ, სერვანტესისგან განსხვავებით, იციან, რომ დონ-კიხოტის სული დღესაც ცოცხალია და იცოცხლებს, ვიდრე იარსებებს სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ბრძოლაში ჩართული კაცობრიობა. მუზეუმის კარადაშია ჩაკეტილი დონ-კიხოტის და სანჩო-პანსას სკულპტურული გამოსახულება. კაცობრიობის მომავალი, უცოდველი ბავშვები, რომელთათვისაც ასე ახლობელია მწუხარე სახის რაინდის კეთილშობილება, ამსხვრევენ კარადის მინას იმ იმედით, რომ დონ-კიხოტი და სანჩო გაცოცხლდებიან და მარადიულად ივლიან სიკეთის გზაზე. და ჩვენ გვესმის კავსაძე — დონკიხოტის ხმა: „წავიდეთ სანჩო!"

# კვლავ ივლის დონ კიხოტი

და მიდიან როსინანტზე და ლურჯა სახედარზე ამხედრებულნი ილუმინაციებით და ხთასობით ლიმუზინების შუქით აზრიალებული მადრიდის მაგისტრალზე...

ვფიქრობ, სიმბოლურია, რომ ფილმი საქართველოს და ესპანეთის, ბასკეთის ერთობლივი ნაწარმოებია.

და რაოდენ ნიშანდობლივია, რომ ესპანელებმა ისურვეს მათი ეროვნულ სიამაყეს სწორედ გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, ბატონ რევაზ ჩხეიძის ხელი შეხებოდა, იქნებ ამაში გამოვლინდა კიდეც კავკასიის და პირინეის იბერთა სულიერი ნათესაობა?

და კიდევ: დღეს, როცა საქართველოს ასე უჭირს, დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე იმდენი დაბრკოლება ხვდება, რომ ზოგჯერ ძნელია ავისა და კარგის გარჩევა, როდესაც ბევრი ცდილობს სიკეთის ნიღბით შემოგვეპაროს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ასეთი იმედიანი სიმღერა სიკეთეზე, მის უკვდავებასა და მარადიულობაზე.

მხოლოდ ამ გრძნობამ ამაღებინა ხელში კალამი...

**რომან მიმინოშვილი.**

## უცხოელი სწავლულის ღვაწლი

# ჩვენი კულტურის ისტორიის ნათელი ფურცლები

**ამას წინათ** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მივიღე ჰამბურგისა და კილის უნივერსიტეტების ქართული ენის ლექტორის, ჩემი ძველი მოწაფის, ნიკოლოზ ჯანელიძის წერილი და ვენელი ეთნოგრაფოსისა და მუსიკათმცოდნის, პროფესორ რობერტ ლახის „რუსი სამხედრო ტყვეების სიმღერების" ორი ნაკვეთი. პირველი ნაკვეთი გამოცემულია 1928 წ. და 254 გვერდს შეიცავს, მეორე კი — 1931 წ. და 64 გვერდის მოცულობისაა. ორივე წიგნი ვენაშია დაბეჭდილი გერმანულ ენაზე და თავისი შინაარსით უნიკალურია.

პირველ ნაკვეთში გამოქვეყნებულია ქართველი სამხედრო ტყვეებისაგან გაგონილი ქართული სიმღერების ტექსტები და ნოტები, მეორეში კი — მეგრული, სვანური, აფხაზური და ოსური ხალხური სიმღერების ტექსტები და ნოტები. მასალა რ. ლახს ჩაუწერია 1916-1917 წლებში ეგერის ბანაკში მყოფი პირველი მსოფლიო ომის ქართველი სამხედრო ტყვეებისაგან.

პირველი წიგნი თავის დროზე მკითხველს გააცნო დოც. ანდრო აბრამიშვილმა მშვენიერი ბიბლიოგრაფიული წერილით, რითაც მან ფასეული სამსახური გაუწია მეცნიერებას, რადგან ამ პუბლიკაციის არსებობის შესახებ მანამდის არა ვიცოდით რა. სამწუხაროდ, რ. ლახის მიერ ჩაწერილი ხალხური სიმღერების ტექსტები ვერ აისახა ქართული ხალხური პოეზიის ვერც ცალკე გამოცემულ კრებულებსა და ვერც მრავალტომეულში, თუმცა მეცნიერს გამოქვეყნებული აქვს ბევრი ხალხური ლექს-სიმღერა ან მისი უცნობი ვარიანტი, ჩაწერილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის (ქართლი, კახეთი, ფშავი, თუშეთი, მესხეთი, იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, გურია, რაჭა) მთქმელ-მომღერალთაგან, რომლებიც ბედუკუღმართობამ სამხედრო ტყვეთა ეგერის ბანაკში გარიყა. ხალხურთან ერთად აქ ბევრია ჩვენი ცნობილი პოეტების (ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, რ. ერისთავი, ი. ბაქრაძე, ი. ევდოშვილი, ი. გრიშაშვილი, შ. მღვიმელი და სხვ.) სიმღერადქცეული ლექსი, რაც შეეხება მეორე ნაკვეთს, მის შესახებ ჩვენმა მკითხველმა სრულიად არაფერი იცოდა (ის არც ანდრო აბრამიშვილს სცოდნია!). პირველი ცნობა ამ მეორე წიგნის შესახებ ჩვენ რამდენიმე წლის წინათ მოგვაწოდა ნიკოლოზ ჯანელიძემ, ახლა კი, გერმანელი ბუკინისტების მეშვეობით, იშვიათი გამოცემა კიდეც შეუძენია. წიგნი ჩამოგვიტანა გერმანისტმა ქ-მა ნანა სალაძემ, რომელიც განთქმული ქართველოლოგის, პროფესორ ვინფრიდ ბოედერის მიერ იყო მიწვეული ოლდენბურგში, მოინახულა ფედერაციული გერმანიის ღირსშესანიშნაობანი, გაეცნო ნიკოლოზ ჯანელიძესა და მის მოღვაწეობას. ნიკოლოზ ჯანელიძემ ადრე მეორე წიგნის ფრაგმენტების ქსეროპირიც გამომიგზავნა გასაცნობად. მე კი იგი შესასწავლად გადავეცი დოცენტ გიზო ჭელიძეს, ცნობილ ფოლკლორისტს, რომელმაც პუბლიკაციის მეცნიერული ღირებულებისა და მნიშვნელობის შეფასებას რამდენიმე მოხსენება მიუძღვნა.

წიგნებში 300-ზე მეტი სიმღერის ტექსტი და ნოტია გამოქვეყნებული. ჩანაწერები, ზოგიერთი ტექნიკური ნაკლისა და შეუსაბამობის მიუხედავად, ფაქიზადაა შესრულებული. მართალია, ზოგი ცნობილი პოეტის ლექსი ხალხურადაა მიჩნეული, რამდენიმე ლექსის ტექსტი სწორად არ არის გარჩეული, არეულიცაა, მაგრამ ეს გარემოება სრულიად ვერ ამცირებს პუბლიკაციების ღირსებას. მეტიც უნდა ვთქვა. ქართული ხალხური სიმღერების ტექსტებისა და ნოტების ამისთანა მდიდრული გამოცემა არა თუ მაშინ, ისიც უცხოეთში, ახლაც სანატრელია, ცოტა მოგვეპოვება. 1916-1917 წლებში შეკრებილი მასალა ძვირფასი ინფორმაციით ამდიდრებს ქართულ ფოლკლორისტიკას, დიალექტოლოგიასა და მუსიკათმცოდნეობას, ეროვნული ხალხური კულტურის ისტორიას.

ხალხური სიმღერების შესწავლას განსაკუთრებით ამჟამად, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პირობებში, ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის, ხასიათის, სულის სრულყოფილად წარმოსაჩენად. ტრადიციაც მდიდარი მოგვეპოვება. ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, ი. კარგარეთელის პუბლიკაციები საყოველთაოდ ცნობილია და მათ პროფესორი რ. ლახიც პატივისცემით იმოწმებს.

მინდა მკითხველს მოკლედ შევახსენო ამ იშვიათი წიგნების შინაარსი, რადგან გამოცემები არა თუ ფართო საზოგადოებისათვის, თვით სპეციალისტთათვისაც ძნელად ხელმისაწვდომია. პირველ წიგნს (1928 წ. გამოც.) ახლავს რ. ლახის შესავალი წერილი „ქართული სიმღერა", ცნობები მასალის ჩაწერისა და მთქმელ-მომღერალთა ვინაობის შესახებ (გვ. 3, 22), სიმღერების ნოტები 317 მელოდიის ჩვენებით (გვ. 23-110), 307 — ქართული ლექსის (ხალხურისა და ცნობილ პოეტთა სასიმღერო ლექსების) ტექსტები ადოლფ დირის ლათინური ტრანსლიტერაციითა და პროზაული გერმანული თარგმანით (გვ. 111-234), შენიშვნები (გვ. 235-248), წყაროთა ნუსხა (დასახელებულია ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, ი. კარგარეთელის, ა. დირის შრომები ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე) და ქართული ლექსების ანბანური საძიებელი (გვ. 249-253).

რ. ლახი, სხვათაშორის, მადლობას უძღვნის ადოლფ დირს ტექსტების შემოწმებისა და თარგმანისათვის. პროფ. ადოლფ დირს (1867-1930) ჩვენ კარგად ვიცნობთ მისი 1902-1913 წლებში კავკასიაში მოღვაწეობით. ერთხანს იგი თბილისში ცხოვრობდა და გერმანულ ენას ასწავლიდა. შეისწავლა ქართული, აგრეთვე მთის კავკასიური ენები აღულური, არჩიბული, რუთულური, წახურული და მათ საყურადღებო შრომები უძღვნა. 1904 წ. გამოსცა თანამედროვე ქართული ენის თეორიულ-პრაქტიკული გრამატიკა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხელმძღვანელობდა ჟურნალ „კავკაზიკას", რომელშიც ქართველოლოგიური შრომებიც დაიბეჭდა. ჟურნალში, კერძოდ, გამოქვეყნდა პროფესორ რობერტ ბლაიხშტაინერის (1891-1954) მიერ ქართველი სამხედრო ტყვის, დათიკო ლომაძისაგან ჩაწერილი გურული დიალექტური ტექსტები, კომენტარებით, ლექსიკონითურთ („კავკაზიკა", №№ 7, 9, ლაიფციგი, 1931). რ. ბლაიხშტაინერსვე ეკუთვნის მეორე წიგნში შეტანილი მეგრულ-სვანურ-აფხაზურ-ოსური ტექსტების ლათინური ტრანსლიტერაცია და გერმანული თარგმანი. რ. ლახის მთავარი კონსულტანტი ყოფილა სამხედრო ტყვე ლევარსი მამალაძე, რომელსაც კარგად სცოდნია ქართულ-გერმანული ენები, ყოფილა ხალხური სიმღერების ჩინებული შემსრულებელი. მწარე ხვედრის გამო სამშობლოდან გადაკარგული, უეჭველად ნიჭიერი კაცის, ლევარსი მამალაძის სახელი, ან რაიმე ღვაწლი ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, გერმანულ წიგნში ასე პატივისცემით რომაა მოხსენიებული, სამწუხაროდ, უცნობია.

რ. ლახი სათითაოდ ჩამოთვლის სამხედრო ტყვეებს, ვისგანაც ჩაუწერია სიმღერების ტექსტები, მიუთითებს მათ ასაკს, დაბადების ადგილებსა და მოსაქმეობას ჯარში გაწვევამდის. ისინი 20-30 წლის ჭაბუკები ყოფილან. ყველაზე ასაკოვანი (ბეგლარ ბარკალაია) 37 წლისა ჩანს. დღეს ეს ჩვენი ტანჯული თანამემამულენი საუკუნეს მიტანებულნი (ან უფრო ხნიერნი) იქნებიან. მე ამოვწერე მათი სახელები და გვარები იმ იმედით, რომ იქნებ მოხერხდეს რომელიმე მათგანის ვინაობის უფრო დაზუსტება. ვინ იცის, რა ბედი ეწიათ მათ ტყვეობიდან გამოხსნისა და შინ დაბრუნების შემდეგ! ეს მცირე ნარკვევიც ამის იმედმა დამაწერინა. ესენი არიან: 1. კახეთიდან: ალექსანდრე ხადელიშვილი (თელავი), ზაქარია როსტიაშვილი (ჩაილური), ზაქარია ნაცვლიშვილი (გიორგი წმინდა), ისაკი ქაჩლიშვილი და ივანე ოდლომიშვილი (გურჯაანი); 2. ქართლიდან: კონსტანტინე ნავროზაშვილი (ერთაწმინდა), ისაკი ბითიაშვილი (ახალგორი), ილია ნავაშვილი (წილკანი), 3. თუშეთიდან დავით გოცირიძე (ალვანი); 4. ფშავიდან: ვასილ გუშალაშვილი (თიანეთი), ლუკა თურქაშვილი (ზენამხარი); 5. გურიიდან: პროკოფი კალანდაძე (ხიდისთავი), კირილე ახალაძე (ნაგომარი), ლევარსი და მელიტონ მამალაძეები (ხევი), ერმილე პაიჭაძე (ჯვარცმა), გედევან ბერძენიშვილი (ჩოხატაური); 6. იმერეთიდან პორფილე ხვედელიძე (ქუთაისი); მესხეთიდან ნიკოლა მაისურაძე (მუსხი); 8. რაჭიდან დიომიდე გაგნიძე (შქმერი); 9. მეგრული ტექსტები ჩაწერილია: ნიკოლა პატარაიასაგან (ბანძა), ილია თოფურიასა (აბაშა) და ბეგლარ ბარკალაიასაგან (შეშელეთი, სამურზაყანო); სვანური — ნესტორ გვანჩანისაგან (ლახამულა), აფხაზური — ბეგლარ ბარკალაიასა და ლევარსი მამალაძისაგან, ხოლო ოსური — დავით ხაბალაშვილისაგან (გორი), მიხეილ მელაძისა (მეჯვრისხევი) და სტეფანე გასაშვილისაგან. აქ ჩამოთვლილ მრავალტანჯულ თანამემამულეთა შესახებ ჩვენ მეტად ცოტა რამ ვიცით, ისიც მხოლოდ ანდრო აბრამიშვილის ზემოხსენებულ წერილისა და ამ რამდენიმე წლის წინანდელი ერთი, უთუოდ მარჯვე, ტელეგადაცემის წყალობით, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. გერმანული პუბლიკაციებიდან ნათლად ჩანს, რომ ისინი, ბედუკუღმართობის გამო სამშობლოს მოწყვეტილი შვილები, ხალხური ზეპირშემოქმედებისა და სიმღერების ქომაგნი და შემნახველნი ყოფილან, უცხოეთში ტყვეობის მძიმე პირობებშიაც შეუნარჩუნებიათ ეროვნული სიამაყე და ჩვენი ხალხური შემოქმედების ხელიხელ საგოგმანები მარგალიტები მთელი სიტურფით უჩვენებიათ კეთილშობილ უცხოელ მეცნიერთათვის, რათა საზღვარგარეთაც გაეცნობოდნენ ძველთაძველი ქართული ხალხური კულტურის მაღალ ღირსებასა და თვითმყოფობას. მათი სახელები დავიწყების მტვერმა ვერ უნდა დაფაროს.

მეორე წიგნში, როგორც ითქვა, შეტანილია მეგრული, სვანური, აფხაზური და ოსური სიმღერების ტექსტები და ნოტები. მათი უმეტესობა უცნობია. ტექსტები ტრანსკრიფცირებული და გერმანულად თარგმნილია რობერტ ბლაიხშტაინერის მიერ. გამოცემას ახლავს რ. ლახის შესავალი წერილი (გვ. 3-18), მეგრული (გვ. 19-25), სვანური (გვ. 26-28), აფხაზური (გვ. 26), ოსური (გვ. 29-41) სიმღერების ნოტები და ტექსტები (გვ. 43-63). პუბლიკაცია პირველია.

პროფესორ ლ. ლახის ღვაწლი დიდად დასაფასებელია. ღრმა მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ გერმანელი მეცნიერის მშვენიერი პუბლიკაციები, ამაგი, ქართულ მეცნიერებასა და კულტურას რომ დასდო. დასანანია, რომ მისი სახელი ქართულ ენციკლოპედიაში მოხსენიებული არ არის.

სასურველია პროფესორ რ. ლახის პუბლიკაციების ხელმეორედ გამოცემა. იგი ახალი მასალით გაამდიდრებს ქართული ხალხური ზეპირსიტყვაობისა და სიმღერის ჩაწერა-გამოქვეყნების ისტორიას.

**ალექსანდრე ღლონტი.**

## მოვლენის წინ

# მუსიკის დღესასწაულის მოლოდინში

**კვლავ** გამოჩნდა გორის ქუჩებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე თუ მაღაზიათა ვიტრინებში ლამაზი ემბლემა ცის ლაჟვარდში მონავარდე მერცხლითა და ნოტებით. დიახ, ეს საგუნდო მუსიკის გორის საერთაშორისო ფესტივალის ემბლემაა, ზეიმისა, რომელიც ასე პოპულარული გახდა არა მარტო საქართველოსა და სსრ კავშირში, მის საზღვრებს გარეთაც.

ხვალიდან, 14 მაისიდან, გორი უკვე მესამედ უმასპინძლებს ამ ფესტივალს, საქვეყნოდ განთქმულ კამერულ გუნდებს. ამასთან, ზედმეტი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ გორის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა დასი (სასწავლებლის დირექტორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. კაჭარავა, სამხატვრო ხელმძღვანელი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. მოსიძე) ევროპის საგუნდო მუსიკის ფედერაციის წევრია და პროფესიული ოსტატობის „რეიტინგიც" ძალზედ მაღალი აქვს.

აი, რას ამბობს ამის თაობაზე მ. კორნელიუ — ევროპის საგუნდო კოლექტივების ფედერაციის პრეზიდენტი; თქვენი გოგონათა კამერული გუნდის ევროპული ფედერაციის წევრად გახდომა ჩემი პირადი სურვილი იყო. ორჯერ მოვუსმინე მას და მართალი გითხრათ, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს, უდაბნოში ოაზისს გადავყროდი. ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ქართული საგუნდო მუსიკა მთელ ევროპაში ჟღერდეს.

და აი, ბატონი კორნელიუ ორმაგი მისიით გვეწვევა — როგორც პრეზიდენტი და საფრანგეთის ქალაქ ლიონის კამერული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი.

პამპლონის (ესპანეთი) კამერული გუნდი კი, რომელსაც ცნობილი მაესტრო ლუის ფილიპ ტასარა გარსია ხელმძღვანელობს, დღესვე ჩაატარებს თავის პირველ რეპეტიციას ქალაქის კულტურისა და ტექნიკის სასახლის სცენაზე.

როგორც ფესტივალის საორგანიზაციო შტაბში გვითხრეს, ფართოდ იქნებიან წარმოდგენილი საქართველოს მუსიკალური კოლექტივები: თელავის, ბათუმის, სოხუმისა და საქართველოს სხვა საგუნდო საზოგადოებათა კამერული გუნდები; მუსიკის მოყვარულნი ინტერესით მოელიან სომხეთის სახტელერადიოს კამერულ გუნდთან შეხვედრას...

მასპინძლებმა ფესტივალის წინ დიდი მუშაობა გასწიეს: დაიბეჭდა პროსპექტები და პროგრამები, გამზადებულია ქალაქის საუკეთესო სასტუმროები და კოტეჯები, შეფმა ორგანიზაციებმა წინასწარვე დაიჭირეს თადარიგი მათზე მომაგრებულ კოლექტივთა მომსახურებისათვის; დაწესებულია პრიზები და ჯილდოები.

ასე რომ, ქართლის მეთაური ქალაქი დღესასწაულის მოლოდინშია!..

**გურამ ვაშაკიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

# სატურნირო ორბიტა

**ფეხბურთი.** მოგვყავს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის IX ტურში გამართულ შეხვედრათა შედეგები: „სანავარდო" — „სამგურალი" — 0:0; „გურია" — „მერცხალი" — 2:0; „ბათუმი" — „ქუთაისი" 1:1; „იბერია" — „ცხუმი" — 1:1; „მზიური" — „კოლხეთი" (ხობი) — 0:0; „კოლხეთი-1913" (ფოთი) — „ოდიში" — 0:0; „გორდა" — „ამირანი" — 1:0; „დილა" — „ლიახვი" — 7:1; „ივერია" (ხაშური) — „შევარდენი-1906" — 2:0.

**კალათბურთი.** ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის საუკეთესო ცენტრალურ თავდამსხმელად აღიარებულია „სან-ანტონიო სპერზის" მოთამაშე დევიდ რობინსონი, რომელმაც მთავარი ფავორიტი „ჩიკაგო ბულზის" ლიდერი, მაიკლ ჯორდანი ჩამოიტოვა. საინტერესოა, რომ რობინსონს უპირატესობა მიანიჭა... კომპიუტერმა, მას კი არაობიექტურობას ვერაფრით დასწამებ.

**ხვალ ქართველი ხალხი ფართოდ აღნიშნავს თამარობას.**
**ამ დღესთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოება, საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში აწყობს დღესასწაულს — მიძღვნილს თამარ მეფისადმი.**
საღამოში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საუკეთესო ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

* * *

**17 მაისს** კი მურმან ლებანიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართება.

**დავით აღმაშენებლის საზოგადოება.**

**რედაქტორი მინდია უგრეხელიძე.**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 00270 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 7 8 9 10 11 12 13 14